პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ. ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მეზღ. დეპ. საბ. ცაკის ორგანო.

№ 143 კვირა 24 ივნისი, 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 75,000 მან.

№ 143

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 28 ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76 მდივნის 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.250.000 მან. განცხადება 15 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

დ ღ ი უ რ ი

— ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელიც აღნიშნავს ბულგარეთში მომხდარი ამბების ხასიათს.

— ბულგარეთის ახალი მთავრობა [illegible] შეუდგა კომუნისტური პარტიის დევნას.

— მოსალოდნელია ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის კერზონის გადადგომა.

— ევროპის სახელმწიფოები ჩქარობენ საჩქაროდ განაახლონ საბჭოთა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა.

28 ივლისს, დილის 10 საათზე, სასახლის წითელ დარბაზში გაიხსნება

მეორე სესია

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა

დასწრება ყველა წევრებისა და კანდიდატებისა აუცილებელია.

დღის წესრიგი: 1. მოხსენება ამიერ კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოსი, 2. ფინანსიური მდგომარეობა ამიერ-კავკასიის ფედერაციისა, 3 კონსტიტუციები (ხელშეკრულებანი და დეკლარაციები) სოც. საბჭ. რესპუბლიკებისა, 4. მოხსენება ამიერ-კავკასიის სოც. საბ. ფედ. რესპუბლიკების სასურსათო სახალხო კომისარიატისა, შრომის სახალხო კომისარიატის და მუშურ-გლეხურ ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, 5. ნაციონალური მომენტი ამიერ-კავკასიის ფედერაციის სახელმწიფო აღმშენებლობაში. 6. მიმდინარე საქმეები.

ამიერ-კავკასიის აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი **თალიბლი.**

მეოთხე სესია

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიის შემდეგ გაიარა ოთხმა თვემ, რომლის განმავლობაში მრავალი საკითხები წამოიჭრა. ეს საკითხები გაარჩია და გადასწყვიტა მეოთხე სესიამ.

ახალმა პირობებმა წამოაყენეს ახალი საკითხები საბჭოთა იუსტიციაში. ხელისუფლებას უკანასკნელ დრომდე არ ჰქონდა საშუალება მოეხდინა კანონმდებლობის დეტალიზაცია, მისი მეთოდიური ჩამოყალიბება, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სასამართლოს ერთიანი პრაქტიკა რესპუბლიკის ყველა კუთხეში. არც ფუნქციების დაყოფა იყო სავსებით გატარებული; პარალელურად, არსებობდენ ტრიბუნალები და სახალხო სასამართლოები ერთმანეთის დამოუკიდებლათ თავისი უმაღლესი ინსტანციებით. ტრიბუნალებსაც და სახალხო სასამართლოებსაც ერთი და იმავე ხასიათის დანაშაულების გარჩევა უხდებოდა. საჭირო იყო ამ საქმეების გასარჩევათ ერთიანი სასამართლოს შემოღება.

იუსტიციის სახალხო კომისარიატმა წარმოადგინა კანონპროექტი სასამართლოს გაერთიანების შესახებ, რომელიც სესიამ მცირე შესწორებებით ერთხმად მიიღო. წარმოდგენილ იქნა სისხლის სამართლის პროცესუალური კოდექსის და სამოქალაქო კოდექსის კანონპროექტი, რომლებიც სესიამ, როგორც საერთო სხდომაზე მის მიერ არჩეულ იურიდიულ კომისიაში დაწვრილებითი განხილვის შემდეგ მცირე შესწორებით მიიღო.

ამნაირად საბჭოთა კანონმდებლობას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა და მუშურ-გლეხურ შემადგენლობის ახალ სასამართლოს მუშაობისთვის მთლიანი სისტემა შეიქმნა.

შემდეგი საკითხი, რომელსაც შეეხო სესია, იყო აგრონომიული დაწესებულების ორგანიზაცია, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასოფლო მეურნეობის აღდგენა-განვითარებისთვის აგრარული საკითხის გადაჭრის შემდეგ. მშრომელი გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და ქვეყნის მეურნეობის აღორძინება მხოლოდ ამ საქმის სახელმწიფოებრივი მასშტაბში მოწყობით არის შესაძლებელი. სესიამ გამოიტანა თავისი აზრი ამ საკითხის შესახებ და მათი ცხოვრებაში ენერგიულად და წინდახედულათ გატარება იმედს იძლევა სასოფლო-მეურნეობის აღორძინებისას.

საბჭოთა სახელმწიფოს მრეწველობას დიდი ყურადღება ექცევა, რადგანაც განვითარებული მრეწველობა არის დასაყრდნობი ბაზა პროლეტარიატის დიქტატურისათვის. ჩვენი პარტიული ამხანაგები, რომლებიც მუშაობენ სამეურნეო დაწესებულებაში, ყველა არ არის საკმაო ცოდნით და გამოცდილებით აღჭურვილი ამ საქმეში. მაგრამ ვინც შესძლო სამხედრო ფრონტზე გამარჯვების მიღწევა, ის შესძლებს გამარჯვებას ამ ფრონტზედაც. პარტიამ და რესპუბლიკის უმაღლესმა ორგანომ მუდმივი კონტროლი და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს მრეწველობის მუშაობას. სესიის მიერ მოსმენილ იქნა სახალხო მეურნეობის უ. საბჭოს თავმჯდომარის, ამხ. ავალოვის, მოხსენება საქართველოს მრეწველობის მდგომარეობის შესახებ და მიღებულ იქნა სახელმძღვანელო თეზისები მთელი რიგი ღონისძიებებზე მითითებით.

ხანგრძლივი საქმიანი ხასიათის კამათი გამოიწვია სესიაზე საკითხმა ერთიან სასოფლო სამეურნეო გადასახადის შესახებ. რაციონალურ საგადასახადო პოლიტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს გლეხობასთან კავშირის განმტკიცებისათვის. მშრომელმა გლეხობამ უნდა გაიღოს საბჭოთა სახელმწიფოს გასამაგრებლათ და შესანახათ თავისი წვლილი; ქაღალდის ფულის განუსაზღვრელი გამოშვება, ემისია, იწვევს ფულის ფასის დაცემას და არევ-დარევას ბაზარზე. ეს კი საზიანოა არა მარტო სახელმწიფოსთვის; თვით მშრომელი გლეხობაც უღრესად დაინტერესებულია ფულის კურსის განმტკიცებაში და ემისიის განსაზღვრაში. ამის მისაღწევად კი საჭიროა გადასახადების აკრეფა. გლეხობა უარს არ ამბობს გადასახადების გაღებაზე, მაგრამ საჭიროა საგადასახადო პოლიტიკაში ერთიანი სისტემის შემოღება, გადასახადების გაერთიანება, უნიფიკაცია. ამასთან სესიამ გაითვალისწინა ყოველი მხარე საგადასახადო პოლიტიკისა და მიზანშეწონილად იცნო საქართველოში გადასახადის მხოლოდ ფულით აკრეფა. ხორბლეულობით გადასახადების მოგროვებას ბევრი სიძნელე სდევდა თან, გლეხობა უფრო მიჩვეულია გადასახადის ფულით გაღებას. ხორბლეულების მოგროვება და გადაზიდვა სახელმწიფოსაც გაუჭირვებდა საქმეს და გლეხობასაც. ამიტომ სესიის დადგენილებით, საქართველო გამოცხადებულია ფულად რაიონით, თანახმად მაზრების წარმომადგენლების მოთხოვნილებისა.

სესია ავალებს ადგილებზე მომუშავე ამხანაგებს და საბჭოთა ორგანოებს მიიღონ ყოველგვარი ზომები ამ გადასახადის მთლიანად აკრეფისათვის.

2 აპრილის დეკრეტმა, რომლითაც მრავალი დაწესებულებები პროვინციაში ადგილობრივ ბიუჯეტზე იქნენ გადაყვანილი, ბევრი გაუგებრობა და გართულება გამოიწვია ადგილებზე. სესიაზე დასმულ იქნა საკითხი ადგილობრივი ბიუჯეტზე, რომლის არსებითი განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო თეზისები; თეზისებში ნაჩვენებია ის წყაროები, საიდანაც შეუძლიათ ადგილობრივ აღმასკომებს თავისი შემოსავლის გადიდება, დეფიციტის აცილება.

სესიის დასასრულ მოსმენილ იქნა მოხსენება სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის შესახებ და დებულება ცალკე სახალხო კომისარიატებზე; დებულებები ერთხმად იქნენ დამტკიცებული.

მშრომელთა კავშირის განმტკიცება, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ოქტომბრის რევოლიუციამ, თანდათან ძლიერდება და თავის გამოხატულების უკეთეს ფორმებს ეძებს. სესიამ დაადასტურა ამ მიმართულებით მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები.

ამნაირათ სესიის მუშაობა მეტად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო, რაც თავდებია საბჭოთა სახელმწიფოებრიობის საბოლოო განმტკიცების და გაძლიერების.

პროფკავშირთა ყრილობის შედეგები

საქართველოს პროფკავშირების ახლახან დასრულებულმა მესამე ყრილობამ გვიჩვენა, რომ პროფმოძრაობა ჩვენში საერთოდ მკვიდრ და სწორ ნიადაგზე სდგას. პროფკავშირების მუშაობამ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში ფრიად ნაყოფიერი და მრავალმხრივი შედეგები მოგვცა მუშათა მასსების პროფესიონალურ შეკავშირების, მათი ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების და კულტურული დონის ამაღლების სფეროში.

თავისუფალმა წევრობამ გააღვიძა მუშების თვითმოქმედება, გააცხოველა მათი კავშირი თავიანთ პროფესიონალურ ორგანიზაციებთან. ამასთან კავშირების ჩატარებულმა გაწმენდამ გააძევა იქიდან წვრილ-ბურჟუაზიული და მესაკუთრე ელემენტები და დასტოვა იქ მხოლოდ წმინდა პროლეტარული მასსა.

ორგანიზაციულ შეკავშირებასა და შემადგენლობის გაჯანსაღებასთან ერთად პროფკავშირები გაძლიერდნენ ფინანსიურადაც. პროფკავშირები დღეს საზრდოობენ არა სახელმწიფოს და სხვა გარეშე დახმარებით, არამედ თავიანთი შემოსავლით, საწევრო გადასახადით. მათ შექმნეს ფონდები საკავშირო მასსის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება კავშირების ფინანსიური მდგომარეობის უფრო განსამტკიცებლად. ამ დადგენილების თანახმად, კავშირების ხარჯები არ უნდა აღემატებოდნენ მათ შემოსავალს. ამის გატარება მოითხოვს სწორი ბიუჯეტის შედგენას, ამასთან ხარჯების შემცირებას კავშირებში მაგარი შტატების დაწესებით. გარდა ამისა, საყურადღებოა ყრილობის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით საწევრო გადასახადი უნდა შემოჰქონდეთ თვით წევრებს და არა იმ წარმოება-დაწესებულებებს, სადაც ისინი მუშაობენ და მსახურობენ. ეს უკეთ უზრუნველყოფს საწევრო ფულის თავის დროზე შეტანას საკავშირო სალაროში, ამასთან მაჩვენებელია პროფესიონალურ შეგნების სიმწიფის; ეს ამასთან უფრო შეუწყობს ხელს მუშების მიერ პროფდისციპლინის განმტკიცებას და პროფესიონალურ ვალდებულებათა პირნათლად და ნებაყოფლობით შესრულებას.

საორგანიზაციო საკითხებში კიდევ უნდა აღვნიშნოთ ყრილობის ზოგიერთი დადგენილება. ერთი მათგანი შეეხება კავშირთა გამგეობების ხელმძღვანელ მუშაობის გაძლიერებას არა ნორმალურად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტიურად შექმნილი მდგომარეობა, როცა ნაკლებად სჩანს კავშირების გამგეობათა ხელმძღვანელი ხელი, ხოლო მათი ადგილი ფაქტიურად დაჭერილი აქვთ სამდივნოებს. უკანასკნელნი უნდა იყვნენ მხოლოდ ამსრულებელნი და გამტარებელნი გამგეობათა პოლიტიკის და გადაწყვეტილებების.

ყრილობამ აგრეთვე საჭიროდ სცნო საკავშირო მუშაობაში კავშირის წევრ ქალების და ახალგაზრდობის უფრო აქტიური ჩაბმა. აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი საკითხი, რომელსაც აქვს არა მარტო საორგანიზაციო, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც. ჩვენ ვლაპარაკობთ მჭიდრო კავშირის ბაზაზე საქართველოს და რუსეთის პროფკავშირებ შორის. ყრილობამ აღიარა, რომ საქართველოს პროფმოძრაობა ორგანიული ნაწილია რუსეთის და საერთოდ საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობის. ამ მიმართულებით წარსული წლის განმავლობაში საჭირო ნაბიჯები იყო გადადგმული. ეს ერთიანობა პროფმოძრაობისა საბჭოთა ფედერაციის მასშტაბით უფრო უნდა განმტკიცდეს.

უდიდესი მუშაობა იყო ჩატარებული მუშების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. პროფკავშირების მიერ წარმოებულმა სწორმა სატარიფო პოლიტიკამ, კოლექტიურ შეკრულებათა სისტემამ და ხელფასის გამოანგარიშებამ საქონლის მანეთის კურსით მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოიღო.

ძირითად წარმოებებში ხელფასმა მიაღწია ომის წინანდელი დროის 75 პროცენტს. ამასთან საგრძნობლად მოიმატა შრომის ნაყოფიერებამ.

ყრილობამ ანგარიში გაუწია სახელმწიფოს დღევანდელ ეკონომიურ მდგომარეობას, მიიღო მხედველობაში, რომ ხელფასის შემდეგი ზრდას ვერ აიტანს სახელმწიფო მეურნეობა და ფინანსები და ამიტომ დაადგინა განამტკიცოს უკვე მიღწეული შედეგები და ჯერჯერობით შეაჩეროს ხელფასის მომატება.

მხოლოდ აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ დარგის მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი ჩამორჩება საცხოვრებელ საშუალო მინიმუმს. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება ამ კატეგორიების სხვების ხელფასის საშუალო მინიმუმთან გათანასწორების შესახებ.

ფრიად საგულისხმოა პროფკავშირების მუშაობა აგრეთვე კულტურულ სფეროში. წევრთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია და მათი პოლიტიკური—კულტურული შემეცნების დონის ამაღლება ინტენსიურად მიმდინარეობდა. მხოლოდ აღსანიშნავია, რომ ამ დარგში პროფკავშირების და განათლების კომისარიატის მუშაობა ხშირად ხვდებოდა ერთმანეთს. ადგილი ჰქონდა ერთგვარ პარალელიზმს და ფუნქციების არევასაც.

ყრილობამ მომავლისათვის მკაფიოდ განსაზღვრა კავშირების კულტმუშაობის არე.

კავშირებმა უნდა აწარმოონ ისეთი კულტურული მუშაობა, რომელიც ატარებს სააგიტაციო-საპროპაგანდო ხასიათს. ესაა უმთავრესად საკლუბო მუშაობა. რაც შეეხება ასე ვსთქვათ სახელმწიფო ხასიათის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას (სოციალური აღზრდა, სკოლები, საბავშვო ბაღები, პროფ-ტეხნიკური განათლება და სხ), ეს უნდა გადაეცეს განათლების კომისარიატს.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ კავშირებსა და განათლების უწყებას შორის შეწყდეს შეთანხმებული მუშაობა კულტურულ დარგში. მათ კვლავ მჭიდრო კონტაქტით უნდა აწარმოვონ ეს საქმე. მხოლოდ აქ უნდა იყოს შრომის და ფუნქციების მიზანშეწონილი განაწილება.

ყრილობამ გამოიტანა ამომწურავი დადგენილებები ყველა ამ საკითხების შესახებ და მისცა გარკვეული დირექტივები კავშირების პრეზიდიუმის ახალ შემადგენლობას. პრეზიდიუმი, ეჭვი არ არის, მთელი თავისი ძალღონით და საკავშირო მასსის აქტიური დახმარებით, შეეცდება ამ დირექტივების გატარებას ცხოვრებაში. წარსულის გამოცდილება, საკავშირო მასსის დაინტერესება პროფმოძრაობით და პროფკავსაბჭოს ახალი შემადგენლობა საბუთს გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ ყრილობის დადგენილებები სავსებით გატარდება ცხოვრებაში.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასკომის მეოთხე სესია

(22 ივნისის დილის სხდომა).

თავმჯდომარეობს ამხ. მიხა ცხაკაია.

დილის სხდომაზე ამხ. ვარძიელი აკეთებს დამატებითი მოხსენებას სიკვდილით სასჯელის განაჩენის სისრულეში მოყვანის წესის შესახებ. რევოლიუციონური ტრიბუნალის განაჩენი ამ ხასიათისა დღემდე შედიოდა ძალაში მხოლოდ ცაკის პრეზიდიუმის დასტურის შემდეგ. ახალი კანონით კი ეს უფლება რჩება უზენაეს სასამართლოს, ცაკის პრეზიდიუმს კი რჩება პატიების უფლება.

ამის შემდეგ ამხ. ანდრონოვი აკეთებს მოხსენებას მელიორაციის შესახებ.

ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ.

ადგილობრივ ბიუჯეტზე გადაყვანა.

ამხ. ერქომაიშვილი აკეთებს მოხსენებას ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ, რომელიც სესიის დღის წესრიგში შეტანილ იქნა ადგილებიდან წარმომადგენელთა მოთხოვნილებით. მიმდინარე წლის 2 აპრილს გამოვიდა დეკრეტი, რომელსაც არსებითი ცვლილება შეაქვს ადგილობრივ და სახელმწიფოებრივი ხარჯების ურთიერთ დამოკიდებულებაში. ამ დეკრეტის ძალით მრავალი დაწესებულებები პროვინციაში გადაყვანილია ადგილობრივ ბიუჯეტზე. სამაზრო აღმასკომებს კი მათი წარმომადგენლების განცხადებით არ აქვთ საშუალება შეინახონ ეს დაწესებულებები, რის გამოც მეტად უხერხულ მდგომარეობაში არიან ჩავარდნილი.

ადგილობრივ ხელისუფლების უფლებები.

ამხ. ერქომაიშვილი ამბობს, რომ ყველა დაწესებულებები ადგილობრივ ბიუჯეტზე არ არის გადაყვანილი.

სამაზრო აღმასკომებს აქვთ ისეთი შემოსავლის წყაროები, მათ განკარგულებაში რჩება სამრეწველო გადასახადის 25 პროც., ერთიანი სამოქალაქო გადასახადის 25 პროც., სასოფლო სამეურნეო გადასახადის ნაწილი და სხვა.

ადგილობრივ მთავრობებს აქვთ ადგილობრივი გადასახადების შემოღების უფლება, აგრეთვე საერთო სახელმწიფო გადასახადებზე პროცენტების დამატება მოთხოვნილების და მიხედვით 100 პროცენტამდე. დეკრეტში ყოველივე ეს გათვალისწინებულია. შეიძლება ისეთი გადასახადების შემოღებაც, რომლებიც კანონში გათვალისწინებული არ არის. ამისათვის საჭიროა დასაბუთებული მოსაზრებების წარმოდგენა, მთელი დამამტკიცებელი მასალებით ფინანსთა სახალხო კომისარიატში.

მაზრებიდან წარმოდგენილ რამოდენიმე ხარჯთ-აღრიცხვიდან, როგორც მაგ. თელავის და ტფილისის აღმასკომიდან არ სჩანდა დეფიციტი, უთანასწორობა შემოსავალ გასავალში.

კამათი.

მოხსენების გარშემო იმართება გაცხოველებული კამათი, რომელშიდაც უმთავრეს მონაწილეობას იღებენ ადგილების წარმომადგენლები.

ამხ. **გ. კალანდაძე** ამბობს, რომ საბჭოთა რუსეთში პროვინციალური დაწესებულებები ადგილობრივ ბიუჯეტზე დღემდე არ არიან გადაყვანილი. 2 აპრილის დეკრეტი საქართველოში კი მეტად ცუდ მდგომარეობაში აყენებს ადგილობრივ მთავრობას.

ამხ. **მამულიას** მაგალითად მოჰყავს სენაკის მაზრის აღმასკომის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც უდრის 119 600 მანეთს ოქროთი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, რომლის აკრეფა ჯერ არც კი დაწყებულა, შესაძლებელია ზევით ნაჩვენები ხარჯების მხოლოდ 16 პროცენტის დაკმაყოფილება. ყველა იმ წყაროებიდან რომლებიც აღნიშნულია კანონში. საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადების აკრეფასთან ერთად ძნელია კიდევ ცალკე ადგილობრივ გადასახადების შემოღება.

აგვისტომდე მაინც უნდა დარჩეს ძველი მდგომარეობა და ცენტრალურმა მთავრობამ უნდა დააკმაყოფილოს დაწესებულებათა მოთხოვნილებები. **დაჩქარებულ** უნდა იქნას მაზრების ბიუჯეტის განხილვა

დ. დორთქიფანიძის აზრით 2 აპრილის დეკრეტი ნაჩქარევათ არის შედგენილი. ადგილებზე მდგომარეობა გამწვავებულია. დაწესებულებების შენახვა ადგილობრივი ბიუჯეტით შეუძლებელია. სახალხო მოსამართლეთა ადგილობრივ ხარჯზე გადაყვანა პრინციპიალურათაც დაუშვებელია.

ამხ. **დ. ნახარიძე** ამბობს, რომ ადგილების მდგომარეობას და მოთხოვნილებებს ანგარიში უნდა გაეწიოს.

ამხ. **კ. ცინცაძის** აზრით ერთი თუ ორი თვით ძველი მდგომარეობის დატოვება საქმეს ვერ უშველის. ერთიანი გადასახადის შემოღება უხარიანთ გლეხებს და თუ კიდევ ადგილობრივი ხასიათის გადასახადები შემოვიღეთ ამით დაირღვევა გადასახადების მთლიანი სისტემა. გლეხობასთან ქალაქის პროლეტარიატის კავშირის განმტკიცებაში საგადასახადო პოლიტიკის წარმოებას გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს ვიდრე შეღავათს და სხვა ზომებს ამ კავშირის განსამტკიცებლათ.

საკითხის საბოლოო გადაწყვეტა გადაიდო საღამოს სხდომისთვის.

საღამოს სხდომა.

თავმჯდომარეობს ამხ. მ. ცხაკაია.

ს. ს. რ. კავშირის კონსტიტუცია.

ამხ. **ელიავა** აკეთებს მოხსენებას ს. ს. რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის და ცალკე სახალხო კომისარიატების დებულების შესახებ.

მოხსენების გარშემო იმართება კამათი, რომელშიდაც მონაწილეობას იღებენ ამხ. **დ. ნახარიძე, ს. ხუნდაძე** და სხვები.

კენჭის ყრის შემდეგ ერთხმად ს. ხუნდაძის თავის შეკავებით დამტკიცებულ იქნა წარმოდგენილი კონსტიტუცია და დებულება.

თეზისები

მიღებული სესიის მიერ:

ადგილობრივი ფინანსების მოწესრიგების შესახებ.

იღებს რა მხედველობაში იმას, რომ ხარჯთ-აღრიცხვას ადგენენ ყოველგვარი სისტემის გარეშე, მისი შემოსავლის და გასავლის ნაწილე-

საბჭოთა კავშირის ურთიერთობა უცხოეთთან.

ამხ. ჩიჩერინის განცხადება.

მოსკოვი. 20 ივნისი. „მანჩესტერ გარდიან"-ის კორესპონდენტთან საუბრის დროს ამხ. ჩიჩერინმა განაცხადა: „**კერზონის ულტიმატუმის შემდეგი ხანა, ეს არის ხანა დიპლომატიური ურთიერთობის გამოცოცხლებისა.**

მოლოდინის წინააღმდეგ, ამ ულტიმატუმს არ შეუფერხებია მეგობრული ურთიერთობის გაგრძელება ჩვენსა და დანარჩენ ქვეყნებს შორის. ინგლისის ულტიმატუმის მეორე დღეს 31, საფრანგეთმა ოფიციალურად მიიწვია მარსელში რუსეთის „წითელი ჯვრის" წარმომადგენლობა. ამჟამად მოსკოვში იმყოფებიან და ჩვენთან მოლაპარაკებას აწარმოებენ საფრანგეთის გავლენიანი ფინანსიური და კომერციული წრის წარმომადგენელნი.

იტალიის წარმომადგენელ ამადორის მიერ გამომჟღავნებულ დეპეშის გამო, ეს უკანასკნელი მოსკოვიდან უკან დაიბარეს. **იტალიასთან დამოკიდებულება არ გაუარესებულა.** პირიქით ჩვენ მივიღეთ ახალი წინადადება იტალიის მთავრობისაგან, რათა **მასთან დავდოთ უფრო არსებითი ხელშეკრულება.**

შვეციაში დავნიშნეთ ახალი წარმომადგენელი ამხ. ოსინსკი, რომელიც მიემგზავრება შვეციაში საგანგებო მიზნით, რომ შვეციასთან გააბას მჭიდრო ურთიერთობა.

იაპონია ფორმალურ მოლაპარაკების წინაშე სდგას რუსეთთან. იაპონიის ფართო წრეები საკმაოდ გაბედულად მოითხოვენ რუსეთთან უფრო კეთილგანწყობილების დამყარებას. ამხ. იოფფე თანაგრძნობის დემონსტრაციების საგნად არის გამხდარი.

ამერიკის მხრივ არავითარ ნიშნებს არ ვამჩნევთ, რომ ჩვენ მიმართ რითიმე შეცვლილიყოს. ის გარემოება რომ თანდათან მატულობს ამერიკელ სენატორების, კონგრესის წევრების და გამოჩენილ ფინანსისტების მოგზაურობა რუსეთში, საკმაო საბუთს იძლევა, რომ იქაც გადატეხა ხდება.

გერმანიასთან ამ ჟამად ვაწარმოებთ მოლაპარაკებას სავაჭრო ხელშეკრულების დასადებ კონფერენციის მოწვევის შესახებ.

ფინეთთან ხელშეკრულება დავდეთ ნავოსნობის შესახებ.

ესტონეთთან ვამზადებთ სარკინისგზო კონვენციის დადებას. ლატვიასა და ესტონეთთან მოლაპარაკება გვაქვს სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.

ამას წინად პოლონეთში მომხდარი ცვლილებები ჩვენ დიდმნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმ მხრივ, რომ **ახალ მთავრობას თითქოს განზრახვა აქვს ხელი აიღოს რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ავანტიურაზე.** პოლონეთის ახალი კაბინეტი საკმაოდ კონსერვატიულად მიგვაჩნია, თუმცა ეს უფრო თვითონ პოლონეთის ხალხის საქმეა".

კორესპონდენტის შეკითხვაზე, რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობის გამო ვიტოშის განცხადების შესახებ, ამხ. ჩიჩერინმა უპასუხა: „უმჯობესი იქნებოდა, რომ ვიტოშს იერიში არ მოჰქონდეს ჩვენზე მაღალ-მაღალი ფრაზებით. ჩემის აზრით, ვიტოში უფრო მეტად შეუწყობდა ხელს კეთილ-მეზობლურ ურთიერთობის განმტკიცებას, რომ იაფფასიან ფრაზეოლოგიის ნაცვლად გამოეცხადებინა, რომ ხელს იღებს იმ ბანდიტურ თავდასხმის მოწყობაზე, რომელიც ამ ჟამად ხელს გვიშლის რიგაში დადებულ ხელშეკრულების განხორციელებაში".

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

ამხ. ლოზოვსკის მოხსენება.

ძველი რეფორმისტული იდეოლოგიის გახრწნა.

მოსკოვი. 20 ივნისი. 20 ივნისის დილის სხდომაზე კომინტერნის აღმასკომის პლენუმმა მოისმინა ამხ. ლოზოვსკის მოხსენება პროფკავშირების და საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების შესახებ: „შეტევაზე გადმოსული კაპიტალის საფრთხის გამო მუშათა კლასში დაიწყო ძველი რეფორმისტული იდეოლოგიის გახრწნა. ეს პროცესი უფრო გააღრმავა კომინტერნისა და პროფინტერნის მიერ მიღებულმა ერთიანი ფრონტის ტაქტიკამ. ერთიანი ფრონტის ლოზუნგში პროლეტარიატმა დაინახა რეალური გამოსავალი კრიტიკული მდგომარეობიდან. ამ ტაქტიკის ცხოვრებაში გატარებამ დაანახვა მუშებს, რომ მხოლოდ კომინტერნი და პროფინტერნი იცავენ მათ ინტერესებს და იბრძვიან ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ. ყველა კომუნისტურმა პარტიებმა უნდა განავითარონ კამპანია ერთიანი ფრონტის სასარგებლოდ. ამ ლოზუნგის ცხოვრებაში გატარება გაუადვილებს კომუნისტურ პარტიებს მასების დაპყრობას. დღის წესრიგში სდგას ერთიანი ფრონტის ორგანიზაციული საკითხები. ფრანკფურტის კონფერენციამ უკვე გამოიმუშავა მუშების შეთანხმების ფორმა შემდეგ საფუძველზე: შექმნა მოქმედების საერთაშორისო და აგრეთვე ნაციონალური კომიტეტების, საზღვრების რაიონული საკონტროლო კომისიების მოწყობა. ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო კონფერენციამ მოითხოვა ფაშისტური ბანდებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა.

ერთიანი ფრონტის ლოზუნგი.

საჭიროა ერთიანი ფრონტის ლოზუნგი დაუკავშიროთ მუშათა კლასის ყოველდღიურ ბრძოლას. ტრანსპორტის მუშების კონფერენციამ დაგვანახვა, რომ შესაძლებელია შეთანხმება ამსტერდამის ინტერნაციონალის მემარცხენე ფრთასთან და გამოიმუშავა ამ შეთანხმების ფარგლები: საბჭოთა რუსეთის ცნობა ციხე-სიმაგრეთ რეაქციასთან ბრძოლაში, შეკავშირებული ბრძოლა ფაშიზმთან, აღიარება იმის, რომ შეთანხმებული მუშაობა შეიძლება მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე. ჩვენ უნდა აუხსნათ მუშებს, რომ ერთიანი ფრონტი ნიშნავს დროებით ზავს ბურჟუაზიულ რეაქციასთან ბრძოლის პერიოდში, მაგრამ არა დათმობას რეფორმისტული იდეოლოგიისადმი. პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობის დასაცავად საჭიროა ეს ლოზუნგი გასაგები გავხადოთ კომინტერნის ყველა სექციებისათვის, სამწუხაროდ ეს ყოველთვის ასე არ ხდება. პროფმოძრაობაში რევოლიუციონური სულის შესატანათ აუცილებელი პირობა არის საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების დაპყრობა, რადგან ძლიერი არის მხოლოდ ის პროფკავშირი, რომელსაც დასაყრდნობი აქვს თითოეულ ფაბრიკა-ქარხანაში. როცა ჩვენ დავიპყრობთ ყველა საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებს (გამოტოვებულია)...

ნაკლი.

ცალკე კომპარტიების დიდ ნაკლს შეადგენს ის გარემოება, რომ ისინი არა საკმაო ყურადღებას აქცევენ დაჩაგრულ ერების მუშებს. კომუნისტური პარტიების მუშაობა კოლონიებში მუშათა მოძრაობის გასამაგრებლათ ვერ შეეფერება სავსებით ახლანდელ პერიოდში გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლას. შეუძლებელია ყველა ქვეყნებისათვის ერთნაირი დამოკიდებულების დამყარება რეფორმისტულ პარტიის შიგნით ოპოზიციასა და რევოლიუციონურ კავშირებს შორის. საჭიროა მხოლოდ, რომ სხვადასხვა ორგანიზაციების ოპოზიციონურ ჯგუფებს ერთი ცენტრი ქონდეთ".

საერთო ჯამი.

უკეთებს რა ჯამს ნათქვამს, ამხ. ლოზოვსკი ამბობს: „კომუნისტების გავლენა პროფკავშირებში საგრძნობლათ გაიზარდა, მაგრამ კომპარტიები ვერ არიან საკმაოთ აქტიური პროფმოძრაობაში. ყველა პარტიები ვერ გრძნობენ ნათლათ, რომ ახლა ყველაზე უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს პროფკავშირების დაპყრობა, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია სოციალური რევოლიუცია. ჩვენს წინაშე იშლება ბრწყინვალე პერსპექტივები, რადგან ყვითელი ბელადების გაკოტრება, მონოპოლიას მოგვანიჭებს ჩვენ საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. გავაძლიეროთ ჩვენი ენერგია და რეფორმიზმი რამდენიმე წლის განმავლობაში განდევნილი იქნება თავისი უკანასკნელი პოზიციებიდან.

კამათი ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გარშემო.

მოსკოვი 20 ივნისი. კომინტერნის აღმასკომის პლენუმის დილის სხდომაზე სწარმოებდა კამათი ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გარშემო.

ურბანი (იტალია) მიუთითებს საფრთხეზე, რომელიც გამომდინარეობს ტრანსპორტის მუშების ბერლინის კონფერენციაზე მიღწეული შეთანხმებიდან. ოპორტიუნისტებს შეუძლიათ დარჩენ ამსტერდამის ინტერნაციონალში ვითომდა მისი შიგნიდან დაპყრობის მიზნით. პროფკავშირებში კომუნისტების ლოზუნგი უნდა იყოს: „მოსკოვისაკენ". ორატორი საჭიროთ თვლის ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობის გაძლიერებას რეფორმისტული მასების კომუნისტური გავლენის ქვეშ მოსაქცევად.

ვიზერი. (შვეიცარია) აფრთხილებს რეფორმისტულ კავშირებში მემარცხენე მიმართულების გავლენის გადაფასებისაგან და მოითხოვს, რომ რეზოლიუციაში უფრო მკაფიოდ იქნას დაყენებული უმუშევრობის საკითხი.

ზაპოტოცკი. (ჩეხო - სლოვაკეთი) ხაზს უსვამს ჩეხო-სლოვაკეთის პროფესიონალური მუშაობის რთულ პირობებს. ნაციონალურათ განცალკევებულ პროფკავშირებს გარდა ჩეხო-სლოვაკეთში არსებობენ ამსტერდამელების, ნაციონალისტების და გლეხების პროფკავშირები.

გალახერი (ინგლისი) ლაპარაკობს რომ ამსტერდამის ინტერნაციონალის აღსასრული მოახლოვებული არისო. თვით ინგლისში, სადაც რეფორმისტების გავლენა დიდია, თანდათანობით მუშები რწმუნდებიან საერთაშორისო გამოსვლის აუცილებლობაში.

ჯონსონი. (კანადა) აღნიშნავს კანადაში რევოლიუციონური პროფკავშირების ლიგის ზრდას. ლიგაში ახლა ორ მილიონზე მეტი წევრია.

კატაიამა (იაპონია) აღნიშნავს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო რევოლიუციის მუშაობისათვის შორეული აღმოსავლეთის პროლეტარიატს შორის.

მეშჩერიაკოვი. აღნიშნავს, რომ რეფორმისტები, რომლებიც გრძნობენ აღსასრულის მოახლოებას, ეძებენ დახმარებას მარჯვენიდან. ამსტერდამის ინტერნაციონალი შეუთანხმდა საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირს, რომელიც ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ორგანიზაცია არის მუშათა მოძრაობაში.

ამხ. ლოზოვსკის საბოლოო სიტყვა.

საბოლოო სიტყვაში ამხ. ლოზოვსკი ეთანხმება ურბანს, რომ რეფორმისტები ფართე მასების მოტყუების მიზნით, მალავენ თავიანთ რეფორმისტულ ბუნებას კომუნისტებთან ვითომდა შეთანხმების სურვილით. ასეთ რეფორმისტებს უნდა ვებრძოლოთ კომკავშირებში კომუნისტების მუშაობის გაძლიერებით. მასები რევოლიუციონურად არიან განწყობილი. კომუნისტების მუშაობა კი პროფკავშირებში ვერ არის დამაკმაყოფილებელი. საჭიროა მეტი ენერგიის გამოჩენა და ანარქიზმი და რეფორმიზმი საბოლოოდ მოისპობიან.

ამხ. კლარა ცეტკინის მოხსენება ფაშიზმის შესახებ.

მოსკოვი. 22 ივნისი. კომინტერნის პლენუმის 20 ივნისის საღამოს სხდომაზე მოხსენება ფაშიზმის შესახებ გააკეთა კლარა ცეტკინმა, რომელმაც აღნიშნა, რომ პროლეტარიატს ფაშიზმის სახით მოევლინა ყველაზე უფრო საშიშარი მტერი „ფაშიზმი, სთქვა ცეტკინმა, არის ყველაზე აშკარა გამოხატულება მსოფლიო ბურჟუაზიის შემოტევისა პროლეტარიატის წინააღმდეგ. არ შეიძლება გაუთანაბროთ იტალიის ფაშიზმი უნგრეთში გამეფებულ ხორტის ტერორისტულ რეჟიმს. ორივე მოვლენის შინაარსი სულ სხვადასხვაა: უნგრეთის ტერორი—არის ბურჟუაზიის შურის ძიება პროლეტარიატისადმი, რომელმაც მოკლე დროში ჩაიგდო ხელში ძალა-უფლება, ფაშიზმი კი—არის პროლეტარიატის დასჯა, რადგან ეს პროლეტარიატი არ წავიდა რუსეთის რევოლიუციის მიერ ნაჩვენებ გზით. ფაშიზმის ფესვები ჩამარხულია ფართო სოციალურ წრეებში, უნგრეთის ტერორს კი მეთაურობს ოფიცერთა ხროვა. კომუნისტების ამოცანაა, არა მარტო ფაშიზმის ძალით, არამედ მისი იდეოლოგიურადაც დამარცხება. არსებითად ფაშიზმი არის ბურჟუაზიულ სახელმწიფოს კაპიტალისტური მეურნეობის დაშლის გამოხატულება.

ომმა გამოიწვია პროლეტარიატის, წვრილ ბურჟუაზიის, მცირე მიწის მქონე გლეხობის და ინტელიგენციის არაჩვეულებრივი გაღატაკება. იმედგაცრუებულ მასებიდან ივსება ფაშისტების რიგები. ბურჟუაზიამ გაიგო, რომ რეფორმისტების გავლენა ხანგრძლივი არ არის, რომ საჭირო იხმაროს ძალადობა პროლეტარიატისადმი და შექმნას ახალი აპარატი ხელისუფლების შესანარჩუნებლად. ასეთი აპარატია—ფაშიზმი.

ფაშიზმის კლასიკურ მაგალითად ითვლება იტალიის ფაშიზმი. მისი გამარჯვების მიზეზები მდგომარეობს რევოლიუციონურ ჟესტების მოხერხებულად გამოყენებაში და ფაშისტების განცხადებაში, რომ საჭიროა რევოლიუციონური მოძრაობის დაცვა. იტალიის ფაშიზმის ლოზუნგი თავდაპირველად იყო ბრძოლა ყველა ექსპლოატატორების, მათ შორის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ფაშისტებმა შექმნეს ერთის მხრივ პროლეტარიატის დამჩაგვრელი და გამხრწნელი აპარატი, ხოლო მეორეს მხრივ მისი ტერორის ქვეშ ყოფნის აპარატი. ფაშისტური პროფკავშირები, რომელნიც ერთსა და იმავე დროს აერთიანებენ მუშებს და მწარმოებლებს, იყვნენ პროლეტარიატის მთავარი გამხრწნელი აპარატები, ხოლო ფაშისტური რაზმები იყვნენ ამავე პროლეტარიატის წინააღმდეგ მიმართული ტერორის იარაღი. იტალიის ფაშიზმმა მაინც ვერ შეასრულა ვერც ერთი მისი დაპირება სოციალურ დარგში. დაპირებული 8 საათის სამუშაო დღე ფაქტიურად არ ტარდება ცხოვრებაში არ არის აგრეთვე უზრუნველყოფილი ხელფასის მინიმუმი. პროფკავშირების მოსპობის გამო, მწარმოებლებმა 20—30 პროცენტით დაუკლეს ხელფასი. სახელმწიფოებრივი წარმოებანი გადაეცა კერძო კაპიტალს.

შემცირებულია გადასახადები ფუფუნების საგნებზე, გადიდებულია არა პირდაპირი გადასახადები. სკოლები ეკლესიებს გადაეცა. სოციალურ წინააღმდეგობათა გამო ფაშიზმში იზრდება პოლიტიკური გახრწნა, რომელიც სრული კრახით დამთავრდება. იტალიის რევოლიუციონურ პროლეტარიატს მოელის სასტიკი ბრძოლა და მსოფლიო პროლეტარიატმა მხარი უნდა დაუჭიროს მას ამ ბრძოლაში. საჭიროა გვახსოვდეს, რომ ფაშიზმი არის იმედგაცრუებულთა და საარსებო საშუალებათა მოკლებულ პირთა მოძრაობა. საჭიროა მათი განეიტრალება ჩვენ მხარეზე გადმოყვანა. ამ მხრივ ფრიად ხელსაყრელია მუშათა და გლეხთა მთავრობების ლოზუნგი. მაგრამ ფაშიზმთან ბრძოლა არ შეიძლება განისაზღვროს იდეოლოგიური მუშაობით იქ, სადაც ფაშიზმი გამოდის აშკარა ძალდატანების სახით, მას უნდა დაუპირდაპიროთ ძალა. გერმანიაში ფაშიზმს უკავია უძლიერესი პოზიცია იტალიის შემდეგ. გერმანიამ უკვე გადადგა ნაბიჯი ფაბრიკებში მებრძოლ ასეულების დაარსებით. ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა ჩატარდეს ერთიანი პროლეტარული ფრონტის არსებობის პირობებში. მხოლოდ მაშინ, როდესაც თვითეულ მუშაში გაიღვიძებს მისი კლასიური თვითშეგნება, ჩვენ შეგვიძლია დავამარცხოთ ფაშიზმი. თუ ჩვენ ეს მოვახერხეთ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კაპიტალისტურ წესწყობილებას ბოლო მოეღება".

ცეტკინის უკანასკნელი სიტყვები დაიფარა მქუხარე ტაშით და „ინტერნაციონალის" სიმღერით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შეუთანხმებლად, რომ საშემოსავლო ნაწილი მეტად მცირეა, რადგან ადგილობრივ არ იყენებენ საგადასახადო წყაროებს, რომელიც მათ დაეთმო 2 აპრილის დეკრეტის და მასთან დართული წესების თანახმად, აგრეთვე იმის, რომ კანონით განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთები უკვე მოძველდა ვალიუტის რყევის გამო და არ აძლევენ ადგილობრივ ორგანოებს რეალურ ფინანსიურ შედეგებს, გასავლის ნაწილი ჩვეულებრივად კი მეტად დიდია და არ არის შეთანხმებული ნამდვილ მოთხოვნილებებთან ბიუჯეტი იხურება დეფიციტით და ადგილობრივი ორგანოები განუწყვეტლივ შუამდგომლობენ დოტაციის შესახებ, მეოთხე სესია ადგენს: 1. წინადადება მიეცეს ადგილობრივ ორგანოებს გამოიყენონ 2 აპრილის დეკრეტით გათვალისწინებული ყველა საგადასახადო წყაროები; 2. ადგილობრივი საშვალებების გაძლიერების მიზნით საჭიროა პერიოდულად საგადასახადო განაკვეთების გადიდება ვალიუტის ცვალებადობის მიხედვით, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ გამომუშავებული ნორმების თანახმად; 3 დაევალოს ადგილობრივ ორგანოებს განსაზღვრულ ვადებში სათანადო ორგანოების საშვალებით წარუდგინონ განსახილველად ფინანსთა სახალხო კომისარიატს წლის მეოთხედების ხარჯთ-აღრიცხვა ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის მოსაწესრიგებლად საჭიროა სათანადო წესების გამოცემა; 4. წინადადება მიეცეს ადგილობრივ ორგანოებს ხარჯების შესათანხმებლად შემოსავალთან, შეამცირონ ხარჯები შტატების შესანახად და გამორიცხონ არანაყოფიერი ხარჯები; 5. იმ შემთხვევაში თუ ამ ზომების მიღების შემდეგაც ადგილი დაურჩება დეფიციტს, დაევალოს ადგილობრივ დაწესებულებებს სათანადო ორგანოების საშვალებით აცნობონ ამიერ კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს დეფიციტის და საჭირო დოტაციის რაოდენობის შესახებ სათანადო დასაბუთებით.

მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საკითხის შესახებ

1. საბჭოთა მთავრობის მიერ აგრარულ საკითხის გადაჭრა სოფლის მოსახლეობის ულარიბეს წრეების სასარგებლოდ, აგრეთვე გლეხთათვის უფლების მინიჭება თავის პროდუქტების თავისუფლად გადაცვლისა ქალაქის მრეწველობის ნაწარმოებებზე, უნდა ჩაითვალოს იმ კავშირის განმტკიცების მიზეზად, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაბმულ იქნა პროლეტარიატსა და გლეხობას შორის.

2. მათ შორის არსებულ კავშირის შემდეგის განმტკიცებისათვის საჭიროა საგადასახადო პოლიტიკის ისე აგება, რომ დაცულ იქმნას ამ კავშირის ძირითადი პრინციპები, რომელ მოთხოვნილებასაც სავსებით აკმაყოფილებს მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთები, დამტკიცებული ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ და რომლის ძალითაც გადასახადის რაოდენობა გამოიანგარიშება როგორც ამა თუ იმ რაიონის მოსავლიანობის მიხედვით, ისე ამა თუ იმ მეურნეობის სახნავის რაოდენობის კვალად.

3. სახელმწიფო აპარატის შენახვა როგორც ცენტრში, ისე ადგილებში მარტოოდენ ემისიის საშვალებით ისეთ პირობებს ჰქმნის, რომელიც ქაღალდის ფულს ფასს უკარგავს; ფულის ტრიალის საშვალებით დამოკიდებულების განვითარება აფერხებს და თავისუფალს ბაზარზე ხელს უწყობს სპეკულიაციის განვითარებას.

ამას გარდა ემისია მთელის თავის სიმძიმით აწვება სასოფლო მეურნეობას, რომლის აღდგენაც მუშურ-გლეხურ ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს.

4. ამიტომ, აგრეთვე იმ გარემოების გამო, რომ გადასახადის განაკვეთების გამოანგარიშების დროს მხედველობაში იყო მიღებული ინტერესები არა მარტო სახელმწიფოსი, რომელიც თავის მინიმალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას სცდილობს, არამედ სასოფლო მეურნეობისაც, რომლის განვითარებაც დიდად აინტერესებს საბჭოთა ხელისუფლებას, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე 4 სესია ადგილობრივი საბჭოების ყურადღებას აქცევს გადასახადის სრულიად აკრების საჭიროებაზე.

მრეწველობის შესახებ.

1. მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობის და სავარაუდო პერსპექტივების სწორი შეფასება შეიძლება მხოლოდ უახლოეს წარსულის გამოცდილების და სახალხო მეურნეობის დღევანდელი ეკონომიური კონიუნქტურის გათვალისწინების ნიადაგზე.

2. საქართველოს ეკონომიურ კონიუნქტურას ახალი ეკონომიურ პოლიტიკის ხანაში ახასიათებს შემდეგი ძირითადი თვისებები:

ა) სასოფლო მეურნეობის სფეროში შემჩნეულია გადახრა წინა პერიოდის ფართო ნატურალურ მეურნეობიდან საქონლის მეურნეობისაკენ, ძვირფას კულტურის დარგთა და საქონლის მოშენების განახლებისაკენ, ეს გადახრა თუმცა აღორძინებას უქადის გლეხის მეურნეობას, მაგრამ არ შეუძლია მოახდინოს სწრაფი ეფექტი, როგორც სასოფლო-მეურნეობის წარმოების პროცესთა ბუნებრივი თანდათანობის ისე სასოფლო მეურნეობის პროდუქტებზე დაბალი ფასების გამო.

ბ) მრეწველობაში კონიუნქტურა განისაზღვრება უმთავრესად ძირითად კაპიტალის შემცირებით, საბრუნავი თანხის ნაკლულოვანებით, ფინანსიურ დახმარების და კრედიტის უქონლობით, გარდა შემთხვევითი ხასიათის დახმარებისა; ყველაფერი ეს ერთად იწვევს წარმოებათა უმცირესად დატვირთვას და როგორც შედეგი ზედდართულ მრავალ ხარჯებისა, პროდუქციის გაძვირებას და მისი მასალების ბაზრის შემცირებას მცხოვრებთა ძალიან დაკლებულ სყიდვის უნარიანობის მიხედვით.

გ) ფინანსებსა, ვაჭრობასა და ტრანსპორტში სახალხო მეურნეობის საერთო კრიზისი გამოიხატა ვალიუტის სათანადო რყევაში, სამრეწველო პროდუქციის სოფლად გამავრცელებელი გზების დახურვაში, საქონლის ურმებით გადაზიდვის განვითარებაში რკინის-გზის მაღალი ტარიფების გამო.

3. მრეწველობაში ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ გამოიწვია პროდუქციის 37 პროცენტით გაზრდა 1921 წელთან შედარებით, შრომის ინტენსიობის გადიდება და ხელფასის მომატება; მეორეს მხრივ შემცირდა საბრუნავი ფონდების რაოდენობა (1922 წლის განმავლობაში—25 პროცენტამდე), ამასთანავე სათანადო საშვალებანი გამოყენებულია ფართო აღმადგენელ და კულტურულ - ტეხნიკურ მუშაობისათვის (სპირტ-კონიაკის წარმოებათა ამუშავება, ჩათახი, მეთამბაქოობისათვის ხელის შეწყობა, ოზურგეთის რკინის გზის გაყვანა, ჰიდრო-აღმშენებლობის განყოფილების სამუშაოები). ამასთანავე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსათვის საზარალო სამელიორაციო მუშაობა, ოზურგეთის რკინის გზის გაყვანა და აგრეთვე ისეთი ღონისძიება, როგორც ლაგოდეხის თამბაქოს პლანტაციები, ემსახურებოდენ ფრიად მნიშვნელოვან პოლიტიკურ მიზნებს—გლეხობასთან მჭიდრო კავშირის დამყარებას.

4. ცალ-ცალკე უფრო ხელსაყრელად (განსაკუთრებით პერსპექტივების მხრივ) ითვლება წარმოებანი: თამბაქოსი, სპირტ-კონიაკის, ტყის და ხის დამმუშავებელი, პოლიგრაფიული და საპნის; დანარჩენები უფრო სუსტია, რომელთა აღორძინება დაიწყება მთელ რიგ ღონისძიებათა მიღების შემდეგ.

5 ყველაზე უფრო აქტუალურ საკითხებათ მრეწველობისათვის დღეს ითვლება შემდეგი: ა) **საორგანიზაციო**—სხვა და სხვა სახ. კომისარიატებსა და დაწესებულებებში გაფანტულ წარმოებათა თავის მოყრა, ნაწარმოების კონცენტრაცია მრავალ მძლავრ წარმოებებში დატვირთვის გადიდების და თვით ღირებულების დაკლების მიზნით და ბოლოს, პარტიასთან, პროფკავშირებთან კავშირის განსამტკიცებლად და ჩვენი სამეურნეო ორგანოების გამგეობათა რეორგანიზაციის მოსახდენად მრეწველთა შემადგენლობის მუშური ელემენტის გადიდების მიზნით;

ბ) **ფინანსიური**: იაფი, გრძელ-ვადიანი კრედიტის დაწესება, აქციზის და პირდაპირი გადასახადის საკითხის მოწესრიგება, რომელიც დღეს შეთანხმებული არ არის წარმოებათა შემოსავალთან;

გ) **სავაჭრო**—საჭიროა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გადაეცეს მრეწველობის კომისარიატის ფუნქციები სახელმწიფოებრივ საქონლის ფონდების კონცენტრაციის მიზნით, ბაზრის ოპერაციულად მოსაწესრიგებლად, რომელიც დღეს ატარებს ჩარჩულ ხასიათს.

6 თუ დაკმაყოფილებული იქნება მრეწველობის საარსებო მოთხოვნილებანი, მისი პერსპექტივა იქნება სასურველი არა მარტო ამჟამად მომქმედ წარმოებათა, არამედ დროებით დახურულ ფაბრიკა-ქარხნების ამუშავების მხრივ; სახელმწიფოებრივ მრეწველობის საჭიროებათა უყურადღებოთ დატოვება შეაფერხებს 1923 წელში შემჩნეულ აღორძინებას და საერთოდ, ამას მოჰყვება სერიოზული შედეგები.

7. მსხვილი წარმოებანი, რომელთა ამუშავება პირველ რიგში აქვს დასმული სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, შემდეგია: ქუთაისის მაუდის ფაბრიკის ამუშავება, თამბაქოს მრეწველობის ნედლი მასალის ბაზას შექმნა—ლაგოდეხის პლანტაციებისათვის ხელის შეწყობით, მუხროვანში გლაუბერის მასალის ქარხნის აღდგენა და ამუშავება, შიყაქში ნავთიანი ადგილების გამოკვლევის გაფართოება; შავი ქვის სახელმწიფოს საშვალებით ამოღების ორგანიზაცია და ამისათვის მადანის სახელმწიფო მარაგის და საზ. „ჩემოს“ 35 პროცენტიანი გადარიცხვის გამოყენება, ოზურგეთის რკინის გზის საბოლოოდ გაყვანა, არსენალის ელექტრო-სადგურის ამუშავება, ჰიდრო აღმშენებლობის განყოფილების სამუშაოების დასრულება.

8. ყველა ზემო ნათქვამიდან გამომდინარეობს აუცილებლობა გატარებულ იქნეს სასწრაფოდ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შიგნით და ხელისუფლების უმაღლეს ცენტრალურ ორგანოების საშვალებით შემდეგი კონკრეტიული ღონისძიებანი:

ა) დაბრუნება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსათვის „ტემზა“-ს და აბასთუმანის ქარხნის, ბორჯომის კომბინატის წარმოებების, 2-რე სტამბის, შავი-ქვის სამმართველოსი (უნდა მოეწყოს სახელმწიფოს საშვალებით შავი-ქვის ამოღების ორგანიზაცია) და აკრძალვა მომავალ დროისათვის სამრეწველო პარტიზანობისა; ჰიდრო აღმშენებლობის განყოფილების დაბრუნება ს. მ. უ. ს. 1922 წელში დაწყებულ სამუშაოების დასამთავრებლად, რისთვისაც სახელმწიფომ უნდა გაიღოს საჭირო საშვალებები.

ბ) დაბრუნება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსათვის ბამბისა, მაუდისა, აბრეშუმისა, კონიაკისა და სხვა ფაბრიკებისა და ქარხნების, რომელნიც სახურსათო მიწად-მოქმედებისა და სხვა სახალხო კომისარიატების გამგეობაში დარჩენ.

გ) წარმოების კონცენტრაცია ყველა ტრესტებში, სადაც დატვირთვის ხარისხი დაბლა სდგას.

დ) ტრესტების და წარმოებების დამოკიდებულებათა სწორ ნიადაგზე დაყენება იმ მხრივ, რომ ყველაზე უფრო მსხვილებს მათ შორის მეტი დამოუკიდებლობა მიეცეთ ტრესტების საერთო დებულების საზღვრებში.

ე) სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამეურნეო ორგანოების გამგეობის რეორგანიზაცია მათში მუშური ელემენტის გადიდებით.

ვ) გათანასწორება შრომის ხელფასისა იმ მიზნით, რომ განმტკიცებულ იქნეს ერთხელ მიღწეული შრომის ხელფასის რეალური დონე და ჩამორჩენილ წარმოებების შრომის ხელფასის საშვალო დონემდის აყვანა, თუ გინდ ამის მიღწევა უკეთესად გაწყობილ დარგების ხარჯზე მოხდეს.

ზ) სამრეწველო ბანკის დაარსება მთავრობის მიერ უპროცენტო სესხის სახით გაცემით.

თ) საქციზო ტარიფების გადასინჯვა იმ მიზნით, რომ ისინი შეთანაბრებული იქნენ წარმოებების რეალურ წმინდა შემოსავალთან.

ი) სამრეწველო ნაწარმოებების გადაზიდვისათვის დაწესებული რკინისგზის ტარიფების გადასინჯვა იმ მიზნით, რომ შეთანაბრება მოხდეს ტარიფებსა და ტვირთების გადახდის უნარიანობის შორის.

კ) მჭიდრო კავშირის დაწესება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და უმაღლეს პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანოებს შორის; საჭიროა ს. მ. უ. ს. პერსონალური წარმომადგენლობა ფინანსთა სახალხო კომისარიატში, ბანკების გამგეობებში და ამიერ კავკასიის რკინის გზათა სამმართველოში.

ლ) სახალხო მეურეობის უმაღლეს საბჭოს ვაჭრობისა და მრეწველობის კომისარიატად გადაკეთება და მისთვის ყველა სახალხო კომისარიატების საქონლის ფონდების გადაცემა (განსაზღვრულ პირობებით).

რადიო-დეპეშები

რუსეთის ცნობის გარშემო

დანიის პოზიცია.

სტოკჰოლმი. 19 ივნისი. გაზეთი „სტოკჰოლმ ტიდნინგ“ რუსეთ დანიის ხელშეკრულების გამო აღნიშნავს, რომ **საბჭოთა მთავრობამ მიაღწია უთველივე იმას რაც შესაძლებლად ხდის მის იურიდიულად ცნობას დანიის მიერ.**

საფრანგეთის პოზიცია.

პარიზი. 18 ივნისი. საფინანსო გაზეთი (გამოტოვებულია) კმაყოფილებას გამოსთქვამს რუსეთ-ინგლისის კონფლიქტის დასრულების გამო გაზეთი სწერს: „რუსეთმა კონტაქტი უნდა იქონიოს დასავლეთ-ევროპასთან რითაც შესაძლებელი იქნება გერმანიის გავლენის შესუსტება რუსეთზე. მიუთითებს რა ეკონომიურ ურთიერთობის განვითარებაზე გერმანიის და რუსეთს შორის, **გაზეთი შესაძლებლად სთვლის რუსეთ-გერმანიის ბლოკის შექმნას, რაც ძლიერ აწუხებს ინგლისს და საფრანგეთს.** გაზეთის აზრით, საფრანგეთის მოქალაქეების ინიციატივას რუსეთთან ურთიერთობის დაჭერისათვის, სანამ სხვა ერები დაიკავებდენ ყველა ადგილებს“.

იაპონიის პოზიცია.

ტოკიო. 19 ივნისი. ოსაკაში **გაიმართა დიდი მიტინგი საბჭოთა მთავრობის ცნობის სასარგებლოდ: ამ დღეებში სოციალისტური პარტია აწყობს მუშათა დემონსტრაციას ამავე მიზნით.**

19 ივნისს იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა წინადადება მისცა მთავრობას დაემტკიცებია (იაპონიის ყოფილი ელჩის ვარშავაში) კავაკამის დანიშვნა ამხ. იოფესთან მოსალაპარაკებლად იაპონიის მთავრობას მიზნათ აქვს მხოლოდ წინასწარი მოლაპარაკების წარმოება, რომ ოფიციალურ მოლაპარაკების დროს ორივე მხარემ მხოლოდ ჩამოაყალიბოს შეთანხმების ტექსტი.

რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს იაპონიის საგარეო მინისტრმა განუცხადა: ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგს არ შეეძლო განეცხადებია, რომ იაპონია ახლო ხანში არ აპირებს საბჭოთა მთავრობის ცნობას, ვინაიდან იაპონიას არა ერთხელ განუცხადებია, რომ იცნობს საბჭოთა რუსეთს, თუ კი უკანასკნელი შეასრულებს ზოგიერთ პირობებს. იაპონიას არავისთვის არ მიუცია პირობა, რომ სეპერატიულად არ იცნობს საბჭოთა რუსეთს. **თავის დამოუკიდებლობაში რუსეთის მიმართ, იაპონიის მთავრობას არ აქვს მიზნათ იაროს სხვა სახელმწიფოების გზით“.**

გადატრიალება ბულგარეთში

ბულგარეთის კომპარტიის მოწოდება.

ვენა. 19 ივნისი. ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც მიმართავს მუშებს, რათა მათ არ მიიღონ მონაწილეობა ქალაქის და გლეხთა ბურჟუაზიის ბრძოლაში. მოწოდებაში ნათქვამია, რომ მუშებმა უნდა დაიცვან საკუთარი მათი ინტერესები ერთიან ფრონტზე ქალაქის და სოფლის პროლეტარიატთან ერთად და მათ ლოზუნგს უნდა შეადგენდეს შემდეგი: რეპარაციების გაუქმება, სახალხო სასამართლოს შემოღება, ბრძოლა ომის გამოწვევის მსურველთა წინააღმდეგ, უმიწო გლეხებისათვის მიწების დარიგება, კონტროლი წარმოებაზე, ზავი საბჭოთა რუსეთთან, ბალკანეთის ყველა ჩაგრულ ერების განთავისუფლება, ბალკანეთის ფედერატიული რესპუბლიკის შექმნა მონარქიული რეაქციის წინააღმდეგ.

ცენკომმა წინადადება მისცა კომუნისტებს ლოიალურად მოექცენ მთავრობას.

რუსეთი და ინგლისი

კონფერენცია ტერიტორიალური წყლების შესახებ.

ლონდონი. 19 ივნისი. „დეილი ნიუზ“-ის ცნობით, ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს ტერიტორიალური წყლების საკითხის შესახებ კონფერენციის მოწვევის მიზნით მიმართოს ერთა ლიგის სატრანზიტო კომისიას, რომელსაც ნაწილობრივ დამუშავებული აქვს ეს საკითხი, რათა მან მოიწვიოს აღნიშნული კონფერენცია. გაზეთის კორესპონდენტის სიტყვით **რუსეთი მოწვეული იქნება ორგანიზაციულ კომისიაში კონფერენციის მოწვევის მოსამზადებლად.**

კომენტარიების გარეშე.

ლონდონი. 20 ივნისი. ინგლისის გაზეთებში არავითარი კომენტარიები არ არის მოყვანილი რუსეთის უკანასკნელი ნოტის შესახებ.

რუსეთი და შვეიცარია

შვეიცარიისათვის ეკონომიური ბოიკოტის გამოცხადება.

მოსკოვი. 22 ივნისი. შვეიცარიის მთავრობის უკიდურესად მტრული პოზიციის გამო რუსეთისა, უკრაინისა და საქართველოს მთავრობების მიმართ, რაც გამოიხატა ლოზანის კონფერენციაზე გაგზავნილ საბჭოთა დელეგაციის დაცვისათვის ზომების მიუღებლობაში, შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს მიერ უარის განცხადებაში ამხ. ვოროვსკის მოკლისათვის დაკმაყოფილების მიცემის შესახებ, ამხ. ვოროვსკის მკვლელებისათვის ხელის შეწყობაში, შვეიცარიის მთავრობის მიერ უარის განცხადებაში მკვლელობის საქმის იმ სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ, რომელიც მძიმე სახელმწიფო ბოროტმოქმედებების საქმეებს არჩევს, **სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასკომმა და სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გამოეცხადოს შვეიცარიას ეკონომიური ბოიკოტი.** საბჭოთა ფედერაციის საზღვრებში აკრძალულია შვეიცარიის მოქალაქეების ჩამოსვლა, გარდა მშრომელებისა, რომელნიც პასუხისმგებელნი არ არიან შვეიცარიის მთავრობის დაუშვებელი მოქმედებისათვის. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა არავითარი დამოკიდებულება არ იქონიოს შვეიცარიის მოქალაქეებთან და ფირმებთან და არავითარი ხელშეკრულებანი არ დასდოს მათთან. სახელმწიფოებრივ და სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლები სასწრაფოდ გამოწვეული არიან შვეიცარიიდან. შვეიცარიის მოქალაქეებთან დაწყებული ყველა მოლაპარაკებანი შეწყვეტილი იქნება. კონცესიების მთავარმა კომიტეტმა არავითარი მოლაპარაკება არ უნდა აწარმოოს შვეიცარიის მოქალაქეებთან კონცესიების საკითხების შესახებ.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს დაევალა შუამდგომლობით შევიდეს სრულიად რუსეთის ცაკში და სახალხო კომისართა საბჭოში ბოიკოტის მოხსნის შესახებ, როდესაც ის ამას საჭიროდ დაინახავს.

კარელიის საკითხი

„სოციალ-დემოკრატენის“ წერილი.

ჰელსინგფორსი. 20 ივნისი. ეხება რა ამხ. ჩიჩერინის პასუხს საერთაშორისო ტრიბუნალის სახელზე უკანასკნელის მიერ კარელიის საკითხის განხილვის გამო ფინეთის „სოციალ-დემოკრატი“ **სამართლიანად თვლის რუსეთის პოზიციას,** რომელსაც არ სურს აღიაროს მიუდგომელ არბიტრათ ის ორგანო, რომელიც მტრულად არის განწყობილი საბჭოთა მთავრობის მიმართ და არ სცნობს რუსეთის კანონიერ მთავრობას. გაზეთი სწერს, რომ ფინეთისათვის უფრო მიზანშეწონილი იქნება თავი დაანებოს დავას ამ საკითხის შესახებ და ხელი შეუწყოს საბჭოთა მთავრობის ცნობას დიდი სახელმწიფოების მიერ, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით შესძლებს ფინეთი სასარგებლო შედეგებს მიაღწიოს, როგორც კარელიის ისე სხვა საკითხებში.

რურის საკითხი

ვინ სარგებლობს ხალხის ფულებით.

ბერლინი. 20 ივნისი. რეიხსტაგის კომისიაში, რომელიც არკვევდა მარკის დაცემის მიზეზებს **კომუნისტმა ფრეილიხმა აღნიშნა ბოროტმოქმედების მრავალი ფაქტები მთავრობის მიერ რურისათვის გადადებული თანხების დახარჯვის დროს.** ასე მაგალითად მსხვილმა კონცესიონერმა ვოლფმა, რომელმაც 41 მილიარდი მარკა მიიღო მუშებისათვის ჯამაგირების დასარიგებლად ამ ფულით გადაიხადა თავისი ფირმის ვალები.

დატუსაღება გრძელდება.

ბერლინი. 22 ივნისი. **ლიუდვიგსჰაფენში ფრანგებმა დაატუსაღეს 7 ქარხნის დირექტორი. მათი დატუსაღება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მათ უარი განაცხადეს ფრანგებთან თანამშრომლობაზე.**

რომის პაპა უკმაყოფილოა.

ბერლინი. 22 ივნისი. „კორიერე დ' იტალია“ ცნობით რომის პაპა უკმაყოფილოა ფრანგ და გერმანელ ეპისკოპოზების პოლემიკით რურის შესახებ და ახლო ხანში გამოაქვეყნებს თავის მოწოდებას ამ საკითხზე.

რურის ოლქის ოკუპაცია

ლანდტაგში.

ბერლინი. 20 ივნისი. ლანდტაგში **მოხდა მღელვარე სხდომა რურში პასიური წინააღმდეგობის გაგრძელების შესახებ.** გერმანელი ნაციონალისტები იცავდენ აქტიური წინააღმდეგობის ლოზუნგს. ნაციონალისტების წარმომადგენელმა ბეკერმა განაცხადა, რომ აქტიურ წინააღმდეგობაზე უარის თქმა, უდიდესი დანაშაული არის გერმანიის ხალხის წინაშეო. დემოკრატები შესაძლებლად თვლიან მხოლოდ პასიურ წინააღმდეგობას. ცენტრის ორატორები აღნიშნავდენ, რომ აქტიური წინააღმდეგობა მიზანშეუწონილია და ამიტომ მოითხოვდენ პასიური წინააღმდეგობის პოლიტიკის გაგრძელებას. დებატების დროს ხდებოდა სასტიკი შეხლა-შემოხლა.

ახალი წინადადებით.

ბერლინი. 20 ივნისი. „ფორვერტს“ მოყავს შემდეგი მოთხოვნილებები, რომლის ნიადაგზე შესაძლებელია მოხდეს შეთანხმება რურის მცხოვრებთა და ოკუპანტებს შორის: ყველა დატუსაღებულების განთავისუფლება, გადასახლებულთა უკან დაბრუნება, ტრანსპორტის შემცირების შესახებ დადგენილების გაუქმება, საფრანგეთ-ბელგიის კანტროლის მოსპობა რკინის გზებზე.

„ლოკალ ანცაიგერი“ სასტიკად აკრიტიკებს „ფორვერტსის“ გეგმას და სწერს, რომ ასეთი შეთანხმების შემდეგ რურში შეიქმნება სწორეთ ისეთი მდგომარეობა, როგორიც პუანკარეს სურსო, სახელდობრ კი მრეწველობაში ნორმალური მდგომარეობის აღდგენა ფრანგების კანტროლის ქვეშ. „ლოკალ ანცაიგერის“ აზრით ეს იქნება პუანკარეს უდიდესი გამარჯვება.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო.

აჭარა.

ჩაქვი. 22 ივნისი. ჩაქვის ახალშენის გაფართოვებისა და დასახლების საქმე წარმატებით მიდის. მოთხოვნილება ბევრია. ერთი-ორი წლის განმავლობაში აქ გაშენდება ჩაქვის დაბა.

ნავთსადგურში.

ბათომი. 22 ივნისი. ბათომის ნავთსადგურიდან გავიდა: გემი „ამალტუს“-ი 7,602,000 ტონი ნავთით დატვირთული, და გემი „მალტიუსი“ 389 ფუთი სამანქანო და საპოხი ზეთეულობით დატვირთული. გერმანიის გემმა „რეინლანდმა“ მოიტანა სამედიცინო აპარატები გერმანულ „წითელი ჯვრის“ მოსაწყობად ტფილისში.

აფხაზეთი.

საკურორტო საქმე.

სოხუმი. 22 ივნისი. ცენტრალურ კომიტეტის, სახალხო კომისართა საბჭოს, სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის და რუსეთის სოც. ფედ. რესპ. სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის რწმუნებულის მონაწილეობით შესდგა სხდომა აფხაზეთის საკურორტო საქმის განსახილველად, რომელმაც მიიღო რამდენიმე დადგენილება კურორტების გაფართოებისა და მოწესრიგების შესახებ. ასეთი ზომების მიღებას ის გარემოება გვიკარნახებს, რომ აფხაზეთის კურორტები ერთად-ერთი ზამთრის კურორტებია სუსტ-ფილტვებიან და სუსტ-ყელიან ავადმყოფთათვის.

ამხ. ლენინის სახელობის სანატორიუმში (ძველად გულრიაში) საწოლების რიცხვი 300 დე აიყვანეს, აზრეში 40-დე, გაგრის სანატორიუმში—50-დე. გულრიაში საგანგებოდ პარტიულ ავადმყოფთათვის არის დანიშნული. საბჭოთა მოსამსახურე ავადმყოფებისათვის განზრახულია სანატორიუმების მოწყობა აგუძერსა და ახალ ათონში. ბათომსა და ნოვოროსიაში არსდება ავადმყოფთა მიმღებ-გამსტუმრებელი სადგურები სულ მცირე 25 კაცისათვის მაინც. აფხაზეთის სანატორიუმები ჭლექს სწამლობენ პირველ ორ საფეხურამდე. წარსულ სეზონში, ოქტომბერი—ივნისი აფხაზეთის სანატორიუმებით უსარგებლია 600 კაცს. სიკვდილის შემთხვევა ყოფილა 19.

სამხრეთ-ოსეთი.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

ცხინვალი. 22 ივნისი. მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გასატარებლად სამხრეთ-ოსეთში შესდგა გადასახადის საოლქო კომისია. კომისიაში შედიან ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული, მომარაგების სახალხო კომისარიატის რწმუნებული, მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი, ცენტრალურ საკავშირო საბჭოს და სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელნი, ეს უკანასკნელი თავმჯდომარეობდა. რაიონებში დაგზავნილი იყო 16 აღმწერი, რომელთა შორის 8 კომუნისტია, 4 კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირიდან ინსტრუქტორი, ოთხიც უპარტიო. აღმწერებმა უკვე მოათავეს დავალებული საქმე. კომუნისტურმა პარტიამ ყველა სარაიონოში აწარმოვა შესაფერი აგიტაცია მთლიან სასოფლო-მეურნეობის გადასახადის სასარგებლოდ. აგიტაციამ წარმატებით ჩაიარა. გლეხობა აღტაცებით ეგებება მთლიან სასოფლო-სამეუნეო გადასახადის შემოღებას და პირობას სდებს, რომ პირველ მოთხოვნისთანავე გადაიხადოს მას.

პარტიული ცხოვრება

პარტიული მუშაობის მოკლე მიმოხილვა ლეჩხუმის მაზრაში მაისში.

ორგანიზაციული მუშაობა. ორგანიზაცია შეიცავს 12 თემკომს. ადმინისტრატიული გაყოფა სავსებით შეეფერება პარტიულს. მაისის თვეში მაზრა შემოვლილ იქნა პარტინსტრუქტორების მიერ ერთჯერ. ინსტრუქტორებისავე საშვალებით ხორციელდება კავშირი და ხელმძღვანელობა ადგილებისა. ასეთი ინსტრუქტორები პარტკომს ყავს სამი—სამივე ძველი, გამოცდილი პარტმუშაკებია. უჯრედების მდგომარეობა მაზრის მასშტაბში—საშვალოა. შემჩნეულია აგრეთვე პარტწევრებში დისციპლინის ზრდა.

სააგიტ-საპროპაგანდო მუშაობა. სააგიტ-საპროპაგანდო განყოფილებას კავშირი აქვს და მეგობრულ განწყობილებაშია ყველა მონათესავე დაწესებულებებთან. განყოფილებამ ჩაატარა მაზრის მასშტაბით ორი პოლიტ-კამპანია: 1) პირველი მაისის დღესასწაული და 2) ინვალიდთა დახმარების კვირეული. პარტიის წევრების პოლიტიკურად განვითარების მხრივ მუშაობა სწარმოებს სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მიერ წინ და წინ გამომუშავებული პროგრამის მიხედვით; ეხლა სწარმოებს პოლიტ-ანბანის გარჩევა—შესწავლა. მაზრაში არსებობს ერთი წიგნთ საცავი, ათი სამკითხველო და ცხრამეტი ქოხ-სამკითხველო.

მოხდა აღრიცხვა წერა-კითხვის უცოდინარი პარტწევრებისა, მათი რიცხვი უდრის 217 კაცს, ამათგან ორმოცდა ათი კაცი უკვე შეუდგა მეცადინეობას.

მაზრაში საკუთარი ბეჭდვითი ორგანო არ არსებობს, ღებულობენ ცენტრალურ გაზეთებს და აგზავნიან კორესპონდენტებს ცენტრალური პრესისათვის. ინვალიდთა სასარგებლოთ დადგმულ იქნა ორი წარმოდგენა მიტინგები, თათბირები და ლექციები, საერთო რიცხვით გაიმართა სულ თუთხმეტი.

ტელეფონზე მომუშავეთა ადგილკომში.

ადგილკომის მეთაურობით დაარსებულია ახალგაზრდათა კომკავშირი, რომელშიც შედის 50 კაცზე მეტი. რამოდენიმეჯერ იყო აღძრული პროფკავშირის და ადმინისტრაციის წინაშე ბინის აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობა, მაგრამ ბინა დღემდე ვერ გვიშოვია, რის გამო კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ტელეფონზე მომუშავეთა შორის მეტად მოისუსტებს. საჭიროა ამ მოთხოვნილების დროით დაკმაყოფილება.

საქართველოს კომპარტიის საალრიცხვო-სასტატისტიკო განყოფილებათა გამგეების თათბირი

მიმდინარე წლის 16 ივნისს ცენტრალურ კომიტეტის ბინაზე გაიხსნა საქ. კომპარტიის საალრიცხვო-სასტატისტიკო განყოფილებათა გამგეების თათბირი.

თათბირს დაესწრნენ 16 მაზრის, 3 ოლქის, თბილისის ორგანიზაციის, ახალ. კომკავშირის და ქართული დივიზიის წარმომადგენლები.

გარდა დღის წესრიგში დასმულ საკითხებისა, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზეთებში, თათბირი შეეხო ბევრ სხვა პრაქტიკულ საკითხებს, მაგ.: აღრიცხვა და შესწავლა იმ პარტმუშაკებისა, განსაკუთრებით არალეგალურ პირობებში მომუშავეთა, რომელნიც შემოვიდნენ ჩვენს პარტიაში ან თვითმპყრობელობის ჩამოგდებამდე, ან საქართველოს გასაბჭოებამდე; მათი დანაწილება სპეციალობის მიხედვით ამა თუ იმ დარგში და მრავალი სხვა ღონისძიებანი აღრიცხვისა და სტატისტიკის გასაუმჯობესებლად. ამხანაგებმა ადგილებიდან გააკეთეს საგულისხმიერო მოხსენებანი, სადაც ხაზგასმით აღნიშნავდენ საალრიცხვო-სასტატისტიკო აპარატების მუშაობის გამოცოცხლებას და განვითარებას, ასე რომ დღეს ჩვენ შეძლება გვაქვს გამოვარკვიოთ არამც თუ რიცხვობრივი შემადგენლობა ჩვენი ორგანიზაციისა, არამედ შეგვიძლია შევისწავლოთ მათი თვისებრივი მხარეებიც.

მალე დასრულდება აღრიცხვა სამაზრო და სარაიონო მასშტაბით მომუშავე პასუხისმგებელ ამხანაგებისა; მათი შესწავლა ხდება პერსონალურად და მამაგრება სწარმოებს ცენტრალური კომიტეტის მიერ ნაჩვენებ ჯგუფებზე.

გამოირკვა ისიც, რომ ზოგიერთ მაზრაში ეს მუშაობა დამთავრებულია და სწარმოებს განსაკუთრებული აღრიცხვა ძველი პარტიული ამხანაგებისა, რომელნიც შემოვიდენ ჩვენს ორგანიზაციაში 1917 წლამდე, თვით უბრალო წევრებამდე.

თათბირზე აღნიშნული იყო აგრეთვე ის დეფექტები და ტეხნიკური დაბრკოლებანი, რომელთაც ადგილი აქვთ ამ მუშაობის ჩატარების დროს: ერთის მხრივ პარტიულ ამხანაგებს არა აქვთ კიდევ შეგნებული დიდი მნიშვნელობა აღრიცხვისა და თუ როგორი სერიოზული ყურადღების მიქცევას მოითხოვს იგი. საალრიცხვო საქმისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება ემჩნევა არამც თუ პარტიის ცალკე წევრებს, არამედ თვით იმ პასუხისმგებელ პარტამხანაგებს, რომელთაც მეტი პასუხისმგებლობა აწევთ საალრიცხვო საქმის სწორად დაყენებაში. საალრიცხვო აპარატს სთვლიან ტეხნიკურად მიუხედავათ იმისა, რომ მე-11 და 12 ყრილობების დადგენილებები მოითხოვენ მეტი ყურადღება მიექცეს აღრიცხვას და საალრიცხვო მუშაობის გამგენი არ იქნენ მოხსნილი ამ სამუშაოდან განსაზღვრული ვადის განმავლობაში, რათა უფრო ახლო გაეცნონ მათზე დაკისრებულ ამოცანებს. მიუხედავად ამ უკანასკნელი მოთხოვნილებისა მაზრებში ადგილი ქონდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც საალრიცხვო განყოფილების გამგებს ხსნიდენ თავიანთ ადგილიდან და გადაყავდათ სხვა სამუშაოზე ც. კ—ის ნებაა დაურთველათ.

მეორე მხრივ აღსანიშნავია სამაზრო კომიტეტების მიერ რეგულიარული კავშირის უქონლობა თავიანთ რაიკომებთან და თემკომებთან, ტრანსპორტის უქონლობა და სხვ. ტეხნიკური დაბრკოლებანი, რომელნიც ხელს უშლიან ანგარიშების შედგენას და თავის დროზე გამოგზავნას.

მესამე ისა, რომ ადგილებზე არ არიან მომზადებული მუშაკები და მდივნები სათემო კომიტეტებისა და უჯრედებისა, რომელთაც შეეძლოთ ანგარიშების სწორად შედგენა და გამოგზავნა.

მეოთხეთ, ძალიან აფერხებს მუშაობას ის გარემოება, რომ გლეხები უმთავრესად მინდვრის სამუშაოზე არიან გასული და არ აქვთ დრო პარტმუშაობაში საკმაო მონაწილეობის მისაღებად.

ადგილებიდან მოხსენებების დასრულების შემდეგ აღრიცხვის უახლოეს ამოცანების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კოსტანიანი. ის დაწვრილებით და გარკვევით ასურათებს აღრიცხვის მნიშვნელობას აწმყოში და მომავალში. ამბობს, რომ სწორი აღრიცხვის გარეშე შეუძლებელია სწორი საბჭოთა მშენებლობაც; აღრიცხვა არის ჩვენი პარტიის საძირკველი, მისი დასაყრდენი. რ. კ. პ. მე-12 ყრილობაზე საკითხი პარტიის წევრთა სპეციალიზაციისა და მათი შესწავლის შესახებ ნათლად იყო გაშუქებული. თუ ჩვენ ჩაუკვირდებით ყრილობის დადგენილებებს, სადაც ყოველ ნაბიჯზეა აღიარებული სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საჭიროება, მისი გადასინჯვა, მასებთან დაახლოვება და სხვ. ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ ამ დადგენილებათა შესასრულებლათ საჭიროა საალრიცხვო აპარატის სათანადო სიმაღლეზე დაყენება, რომელსაც დაკისრებული აქვს მომუშავეთა შესწავლა და მათი წამოყენება.

ეს საკითხი მე-13 ყრილობაზედაც იქნება დასმული და კიდევ ბევრჯელ იქნება გადასინჯული, მანამ ჩვენ არ შევსძლებთ ამ სამუშაოს სავსებით შეთვისებას.

სამოქალაქო ომის დროს, როდესაც რკალივით გვერტყა გარს მტერთა შავი ხროვა, ჩვენ ძირითად ამოცანას შეადგენდა სასწრაფო მობილიზაცია პარტიული ამხანაგებისა და მათი გადაგზავნა იქ, სადაც საჭიროება მოითხოვდა, არ იყო შეძლება შეგვესწავლა ამხანაგები პერსონალურად.

დღეს კი ჩვენი მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ სამეურნეო ფრონტს და ამიტომ საალრიცხვო განყოფილებას აწევს უდიდესი მოვალეობა შეისწავლოს მომუშავენი ცალ-ცალკე და რაციონალურად გამოიყენოს ისინი; და აი მხოლოდ ამ შემთხვევაში გავიმარჯვებთ ჩვენ სამეურნეო ფრონტზედაც ისე, როგორც სამხედროზე.

ამხ. კოსტანიანის შემდეგ გამოდის ამხანაგ ლიტვინოვი, რომელიც თავის მოხსენებაში ვრცლად აღნიშნავს იმ ზომებს, რომლებიც საჭირონი არიან თვითეულ მომუშავის სწორ შესასწავლად და მოსამზადებლად. ის ამბობს, რომ ჩვენ წინაშე დასმულია ამხანაგთა კვალიფიკაციისა და მათი შესწავლის დიდი ამოცანა. ეს ამოცანა ძალიან რთულია და მოითხოვს ხანგრძლივ მუშაობას. მაგრამ რომ ჩვენ ახლო ვართ დასახულ მიზანთან ამას მოწმობენ ის ფაქტები, რომელიც გადმოგვცეს აქ ჩვენმა ამხანაგებმა ადგილებიდან—მუშაობა არამც თუ დაწყებულია, არამედ ზოგიერთ მაზრაში დამთავრდა კიდეც.

ეს იმის გარანტიაა, რომ თეორია კომუნისტების სპეციალიზაციის შესახებ ჩვენ უკვე ცხოვრებაში გაგვყავს. ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ბევრი შრომა დაგვჭირდება ჩვენი მიზნის სრულ განხორციელებამდე და ბევრი საშვალებების გამოძებნა იქნება საჭირო ყველა იმ დეფექტების გამოსასწორებლათ, რომელთაც ადგილი აქვს ჩვენ ში.

რასაკვირველია, ორგანიზაციის ერთბაშათ შესწავლა ძნელია, რადგან მას მრავალგვარი ნიშნები აქვს. ჯერ-ჯერობით ჩვენ უნდა შევისწავლოთ ინდივიდუალურათ ის ამხანაგები, რომლებიც მუშაობენ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში, გამოვარკვიოთ მათი ცოდნა, გამოცდილება, პრაქტიკული სტაჟი და გამოსადეგისობა, რომ ამისდა მიხედვით მივამაგროთ ისინი შესაფერ ჯგუფებზე; შევქმნათ რეზერვი პასუხისმგებ მომუშავე კომუნისტებისა, საიდანაც საშვალება გვექნება გავაგზავნოთ ამხანაგები იქ, სადაც მოითხოვს მას სამეურნეო ფრონტი და გამოვიყენოთ ისინი რაციონალურად. შემდეგში კი თანდათანობით უნდა შევისწავლოთ პარტიის ყველა წევრები ცალ-ცალკე და აგრეთვე უპარტიოებიც, რომელთა გამოყენება ამა თუ იმ სამუშაოზე შესაძლებელი და რაციონალური იქნება.

ამხ. ლიცინოვი დაწვრილებით შეეხო მომუშავეთა შესწავლის და მათი დახასიათების პრაქტიკულ მხარეს, რათა გამოსწორებულ იქნეს ის ფაქტები, რომელნიც შემჩნეული იყო ცენტრალურ კომიტეტში შემოსულ მასალებში პასუხისმგებ მომუშავების შესახებ.

სპეციალურად შეეხო ის აგრეთვე ძველი პარტიული—არა ლეგალურ პირობებში მომუშავე ამხანაგების შესწავლას, რომელნიც შემოვიდნენ ჩვენს ორგანიზაციებში 1917 წლამდე. მან აღნიშნა, რომ ძველი პარტიული ამხანაგები იყოფა რამდენიმე კატეგორიათ. პირველი მათგანი არიან ისინი, რომელთაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს მთელი სიმძიმე საორგანიზაციო მუშაობისა არალეგალურ პირობებში, დაუღალავათ და განუწყვეტლივ მუშაობდენ მეტად მძიმე პირობებში, არ უშინდებოდენ ციხე-კატორღას და გამარჯვებული გამოიტანეს იქიდან კომუნისტური რევოლიუციის წითელი დროშა.

მათი დირექტივებით ვმუშაობთ ეხლა და ვქმნით პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს მსოფლიოში.

არის კიდევ მეორე კატეგორია არალეგალურ პირობებში მომუშავეთა, რომელნიც ოდესღაც რევოლიუციონურ მოძრაობის გაძლიერების დროს ღებულობდნენ მასში ამა თუ იმ მონაწილეობას და შემდეგ კი ჩამოშორდა მას. მათ მოძრაობას ძალიან ცოტა რამ ქონდა საერთო პროლეტარულ მოძრაობასთან. ისინი ხელახლა შემოუერთდენ რევოლიუციონურ პროლეტარიატს მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელმა თავის გმირული ბრძოლით წითელი დროშით დაფარა ერთი მეექვსედი ნაწილი მთელი დედა-მიწისა; გამოცხადდენ დღეს და არალეგალურ პირობებში მომუშავეებათ სთვლიან თავიანთ თავს.

საჭიროა სერიოზული ყურადღება მივაქციოთ ამ კატეგორიის წარმომადგენელთა წარსულ მოღვაწეობას და დაწვრილებით გამოვარკვიოთ ის მიზეზები, რომელთაც აიძულეს ისინი შეეწყვიტათ მუშაობა.

შემდეგ მომხსენებელმა გააშუქა რევოლიუციონური მოძრაობის წარსული ისტორია, მწვავე რეაქციის შავი ხანა, რევოლიუციონური მოძრაობის გამოცოცხლება და მოდუნება—რომელთაც ადგილი ქონდათ 1903, 1905, 1907, 1909, 1912, 1914 და 1917 წლებში. მან აუცილებელ საჭიროდ სცნო პარტიული ამხანაგების მუშაობის შესწავლა ამ ხანებში, ვინაიდან ყველა მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები ამ წლებში გამოაშკარავდა. თუ მათი მუშაობა, სწყდებოდა უნდა გამოირკვეს, როდის შესწყდა, რა მიზეზებისა გამო, იდევნებოდა მთავრობის მიერ, ავად იყო თუ შეეშინდა. აი რას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება ამხანაგების შესწავლის დროს.

ბოლოს ამხ. ლიცინოვმა დაწვრილებით გააცნო დამსწრეებს ც. კომიტეტის დადგენილება პარტიის წევრთა აღწერის შესახებ სრულიად საქართველოს მასშტაბით ამხანაგთა ეკონომიური მდგომარეობის გამოსარკვევად.

მან სთქვა—თუ პირველმა პარტიულმა აღწერამ შეძლება მოგვცა გამოგვერკვია ჩვენი პარტიის პოლიტიკური და სოციალური სახე, დღეს ჩვენი ამოცანაა გამოვარკვიოთ პარტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგების მატერიალური მდგომარეობა, მათი ავადმყოფობანი, საჭიროებანი, სულიერი მისწრაფებანი, მათი მისწრაფებანი კოლექტიური შრომისადმი და თუ რამდენათ შეუძლიათ შეეგუონ ამ შრომას როგორც იდეოლოგიური, ისე მატერიალური მხრით.

გლეხი კომუნისტი მაგალითი უნდა შეიქნეს კოლექტიური შრომის შექმნაში.

ეს მიზანი ხსენებული აღწერისა, რომელსაც უნდა მიექცეს გაორკეცებული ყურადღება, რადგან ამ აღწერას შეუძლია გამოარკვიოს ყველა ის ღონისძიებანი, რომელიც საფუძვლათ უნდა დაედოს ჩვენს გადაწყვეტილებას. თათბირმა გამოიტანა მთელი რიგი დადგენილებათა და ღონისძიებათა სააღრიცხვო მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლათ გამოიმუშავა აგრეთვე გეგმა მუშაობისა ზაფხულის თვეებში.

თათბირი დასრულდა 18 ივნისს. ამხანაგები ადგილებიდან კიდევ ორი დღე დარჩნენ თბილისში, რათა დაწვრილებით გასცნობოდენ აღრიცხვის დაყენების პრაქტიკულ მხარეს.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(23 ივნისი)

ჩერვონცები —13,600 ათასი.
გირვან. სტერ. ეფექტ.—14,700 ათ.
„ ჩეკები—12 950
დოლარები — ეფექტ.—3.500
„ ჩეკები—3.150
ოსმალ. ქაღალ. ლირა —2.380
იტალიური ლირა — — 115
ფრანკი ეფექტ. — — 170
საბჭოთა ფულის ნიშნები —20 ნახ.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(23 ივნისი).

ავსტრიული ცელები, ასფალტი, გადადუღებული ერბო 1 ხარისხის, საბეჭდი ქაღალდი 16×24 კ. თოკები, ლურსმები, პურის სპირტი 96 გრ., შვეიცარიული ყველი, ტკეჩები კაკლის, მუხის, ცემენტი, მარილის სინდიკატის პროდუქტები, სახურავი რკინა, ჩაი, გერმანული მედიკამენტები. სრულიად - რუსეთის ტყავეულობის სინდიკატის პროდუქტები, რუსული მანუფაქტურა. რუსული ასანთი „ირაიდა“, „სოლნცე“, და „ვოლკოვი“, მაკარონი 1 და 2 ხარისხის, ჭვავი, ხორბალი ყუბანის ქვა-მარილი ნახიჩევანის, ასფალტი.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(23 ივნისი).

საპნის სუროგატი, წელები, სამმურნალო წამლები, ფოთოლი თამბაქო. ინგლისური შაბიამანი, ცხვრის ნაწლავები, სამუშაო ფეხსაცმელები, რუსული მანუფაქტურა, ნედლი ტყავი, შპაგატი, ქინაქინა, ჯაგარი, საშენი ლურსმები, მავთული, ფანჯრის მინები, ასფალტი, თუნუქი, ქვა-მარილი ნახიჩევანის.

თბილისის ბირჟის საქონლის განყოფილების ცნობა.

ტფილისის საქონლის ბაზრის განწყობილება: ადგილობრივ მარცვლეულიდან ფასები აწეულია ქერზე; შაქრის ბაზარზე განმტკიცებულია ფასი რაფინადზე; დანარჩენ ბაზარზე მდგომარეობა უცვლელია.

მუშკოპის ფასები.

(23 ივნისი).

თეთრი პური—80 ათასი, 2 ხარის.—45 ათ., ფქვილი თეთრი გ.—100 ათ. საპონი როსტოვის—360 ათასი, აგდაშის ბრინჯი—140 ათასი, ლობიო —15—35 ათასი, კარტოფილი—50 ათასი.

ჩვენი სიმდიდრენი.

ინფუზორიტი.

ინფუზორიტი ან კიზელგური არის ისეთი მადნეული, რომელიც ფხვნილი სახით იხმარება სამრეწველო ტეხნიკაში, როგორც სითბოს არ გამტარებელი ნივთიერება.

ინფუზორიტის ადგილმდებარეობა არის ახალციხის მაზრაში სოფ. ჭისათიბიდან ცოტა მოშორებით, ჩახრიალის-ხევის ხეობის ფერდობზე. კიზელგური სხვადასხვა სახისაა: თეთრი, ჭრელი და მომწვანო. კიზელგურის ეს სხვადასხვა სახეები შემდეგნაირად ალაგია მიწაში: ნიადაგის ზევითა ფენის ქვეშ მდებარეობს თეთრი ინფუზორიტის არშინის განის მქონე ფენი, მის ქვევით კი მომწვანო ინფუზორიტის ჯირკმა, ისიც არშინიანი განის; მის ქვევით კიდევ თეთრი ინფუზორიტის ფენი, რომელიც ჩვეულებრივ იხმარება, როგორც სითბოს არ გამტარებელი ნივთიერება ორთქლის ქვაბებისა და სხვათა გაპოხვის დროს ამის ქვევით ინფუზორიტი გადადის ჭრელისფერ მრავალსახიანობაში, რომელიც მეტად ლამაზ სურათს წარმოადგენს. დასახელებულ სახეების გარდა იქვე აღმოჩენილია ნაცრისფერი ინფუზორიტი, რომლის სიგანე 3 არშინს უდრის.

თუმცა აქამდე არ არის სწორი ცნობები ინფუზორიტის შესახებ, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში მისი სივრცის სიდიდეს და ფენების მიწაში ღრმად მდებარეობას, მაშინ ინფუზორიტის მიწის მარაგი დაახლოვებით შეადგენს 100,000,000 ფუთს, რაც მრავალ წლებით უზრუნველყოფს სარეწავებს.

ჯერ-ჯერობით მუშაობა სარეწავებზე ღია კარიერებით სწარმოებს, მაგრამ შემდეგში საჭირო იქნება ინფუზორიტის წიაღების დამუშავებაზე გადასვლა.

წარმოებულმა ანალიზებმა გამოარკვიეს, რომ ქიმიური შემადგენლობისა და თვისებების მხრივ საუკეთესოა თეთრი ინფუზორიტი. ის ფხვნილი სახით იხმარება, როგორც სითბოს არ გამტარებელი და ცეცხლმტკიცე ნივთიერება ორთქლის ქვაბებისა და მილების გაპოხვის დროს და როგორც საუკეთესო მასალა ნიტროგრიცერინის ამაფეთქებელ ნივთიერებათა დასამზადებლად.

კიზელგურის თვითეული ფუთის თვითღირებულება ფრანკო-ბათომი წინედ უდრიდა 24—29 კაპ., მაგრამ ამოღების, გადამუშავების და გადაზიდვის გაუმჯობესებულ საშუალებების ხმარების შემდეგ მისი თვითღირებულება, რასაკვირველია, შეიცვლება.

მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის.

სომხეთისათვის.

ვენახების შესახებ მიღებულია სომხეთის გადასახადების კომისიის პროექტი; სათიბების 1 დესეტინა გათანასწორებულია ნათესების ნახევარი დესეტინასთან, 4 ღორი ან წვრილ-ფეხა საქონლის 6 თავი უდრის მსხვილ-ფეხა საქონლის 1 თავს.

აზერბეიჯანისათვის.

ვენახების 1 დესეტინა უდრის ნათესების 3 დესეტინას განჯისა, შამხორისა, ყაზახისა და შემახის მაზრებში და ნათესების 2 დესეტინას დანარჩენ მაზრებში; ხეხილის ბაღებისა და კაკლის პლანტაციების 1 დესეტინა უდრის ნათესების 2 დესეტინას; სათიბების 1 დესეტინა — ნათესების ნახევარ დესეტინას, წვრილ-ფეხა და მსხვილ-ფეხა საქონლის შეთანაბრება ისეთივეა, როგორც ზევით არის ნაჩვენები. თამბაქოს 1 დესეტ. უდრის ნათესების 3 დესეტინას აფხაზეთში, ამიერკავკასიის რესპუბლიკების დანარჩენ რაიონებში კი 2 დესეტინას.

კოოპერაცია

ცეკავშირი.

1. ცეკავშირი—მთელი საქართველოს კოოპერაციის ცენტრი.

თავიდანვე ახალ გამგეობას ცეკავშირის მოღვაწეობა წარმოდგენილი ჰქონდა არა მარტო როგორც სამომხმარებლო კოოპერაციის, არამედ როგორც მთელი საქართველოს კოოპერაციის ცენტრის მოღვაწეობა. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე ძველი ტრადიცია ცეკავშირისა, რომელმაც მთელი საქართველო მომხმარებელთა კოოპერატივების ქსელით მოჰფინა, რომელმაც მოაწყო საკუთარი წარმოება და თავის გარშემო შეაკავშირა საწარმოო კოოპერატივები.

ახალმა გამგეობამ მიზნათ დაისახა გადაექცია ცეკავშირი საქართველოს ყველა კოოპერატიული ორგანიზაციების ცენტრათ, რათა ცეკავშირის ხელმძღვანელობით ამ კოოპერატიულ ორგანიზაციებს სათანადო ადგილი დაეჭირათ საბჭოთა აღმშენებლობის საერთო სისტემაში და გადაქცეულიყვენ ისინი მძლავრ აპარატად ქალაქსა და სოფელს შორის საქონლის გაცვლა გამოცვლის საქმეში, სოფლის მეურნეობის აღსადგენად და სახალხო მეურნეობის ჩამორჩენილ დარგებში კოლექტივისტური საფუძვლების შესატანად. ახალი გამგეობის მიზანი სავსებით ეთანხმებოდა რ. კ. პ. აგვისტოს კონფერენციაზე კოოპერაციის შესახებ მიღებულ რეზოლიუციებს.

2. ძველი გამგეობისაგან მიღებული მემკვიდრეობა.

ახალ გამგეობას მუშაობის დაწყებისას დახვდა მხოლოდ ცარიელი კედლები, ცარიელი საქონლის საწყობები და ცარიელი სალარო. ამას უნდა მიემატოს ვეებერთელა აპარატი, რომელიც სჭამდა დარჩენილ ქონებას და ვერ ფარავდა ხარჯების ნაწილსაც კი და აგრეთვე აუარებელი ვალები, რომელთა გადახდა ძალაუნებურად უხდებოდა ახალ გამგეობას.

1922 წელი ცეკავშირისათვის დამთავრდა დიდი ზარალით: სავაჭრო განყოფილების ზარალი უდრიდა—11,213 მანეთს, საწარმოოსი კი—1,308 მ. 71 კ. ოქროთი. წლიური ანგარიშის ზარალით დამთავრება პირველი შემთხვევა იყო ცეკავშირის ცხოვრებაში. მართალია, მიუხედავად ამ ზარალისა საწარმოო დარგს შერჩა საკმაოდ დიდი ფონდი—60,935 მანეთი და 56 კაპ., რომელიც შესდგებოდა სხვა და სხვა ქონებიდან, მაგრამ ამ ქონების რეალიზაცია ჩქარა მოუხერხებელი იყო. ცეკავშირს საბრუნავი თანხები მეტად მცირე ქონდა.

მეტად საინტერესოა გავეცნოთ თუ როგორ თანდათან მცირდებოდა ცეკავშირის ერთ დროს საკმაოდ დიდი თანხები და როგორ დავიდა ის ნულამდი.

ცეკავშირის საკუთარი საბრუნავი თანხები: 1919 წ.—3 967 მ. ოქროთი, 1920 წ.—2.601 მ. ოქრ., 1921 წ.—235 მ. ოქრ., 1922 წ.—54 მ. ოქრ., 1923 წლისათვის 981 მ. ოქროთი.

1923 წლისათვის საკუთარი საბრუნავი თანხების რაოდენობის გადიდება აიხსნება იმ გარემოებით, რომ გამგეობამ მდგომარეობის გამოსასწორებლად დაადგინა სავაჭრო ოპერაციებიდან გადაერიცხა 1 პროცენტი საბრუნავ თანხაში. ამ ზომის მიუღებლად 1923 წლისათვის არ დარჩებოდა არც წინა წლის 54 მანეთი.

3. ახალი გამგეობის მოქმედების გამოსავალი წერტილი.

ასეთ საშინელ პირობებში იმყოფებოდა ცეკავშირის საქმეები, როცა ახალმა გამგეობამ დაიწყო მუშაობა. ახალი გამგეობა მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა: მიუხედავად იმისა, რომ ცეკავშირი წინეთ კრიზისს განიცდიდა, მან მაინც მოიტანა სულ ახალ გამგეობამდე და იურიდიულათ მის ხელში უნდა მომკვდარიყო. ყველა იფიქრებდა, რომ ცეკავშირი მოკლა და დაასაფლავა ახალმა გამგეობამ, საჭირო იყო მდგომარეობის გამოსწორება ამ მიზნით ახალმა გამგეობამ მიმართა მთავრობას ფინანსიური დახმარებისათვის.

მთავრობამ 1922 წლის 7 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა მისცეს სესხათ ცეკავშირს მეტად შეღავათიან პირობებში 250.000 მანეთი. გარდა ამისა მთავრობამ ამავე სხდომაზე მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც კოოპერაციას საპატიო ადგილი დაეთმო საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში: მას დაევალა სოფლისა და ქალაქს შორის მტკიცე ეკონომიური კავშირის გაბმა—სახელმწიფო პროდუქციის გასაღება სოფლათ და იქ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება.

მაგრამ მიუხედავათ მთავრობისაგან მიღებული სესხისა, ძველი მემკვიდრეობა მაინც მძიმე ტვირთად აწვა ახალ გამგეობას. პირველ რიგში მიღებული 90 000 მანეთის ნახევარი თითქმის ძველი ვალების დაფარვას მოუნდა, დანარჩენი კი სხვა და სხვა საქონლს შეძენას და იმ კოოპერატიულ ორგანიზაციებთან და ფირმებთან კომერციული ურთიერთობის დაჭერას, რომლებიც შესძლებდენ ცეკავშირისათვის საქონლის მიწოდებას.

4. ძველი ეკონომიური კავშირის აღდგენა.

ახალი გამგეობა პირველ რიგში შეეცადა ნორმალური ეკონომიური ურთიერთობა მოეგვარებია მოსკოვთან და ეს შედარებით ადვილათ მოახერხა. ცეკავშირი ცენტროსოიუზში შევიდა წევრათ ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის ძალითაც ცენტროსოიუზი ყველა თავის ოპერაციებს საქართველოში აწარმოებს ცეკავშირის საშუალებით, ცეკავშირი კი სარგებლობს ცენტროსოიუზის აპარატით თავისი საჭიროებისათვის რუსეთში. ცენტროსოიუზმა და სრულიად რუსეთის სამომხმარებლო კოოპერაციის ბანკმა გაუხსნეს ცეკავშირს 400.000 მანეთის კრედიტი. ცენტროსოიუზთან ურთიერთობის აღდგენამ ერთბაშათ გამოაცოცხლა ცეკავშირის საქმეები—ახალმა გამგეობამ გადაგზავნა მოსკოვში 25 ვაგონი სხვა და სხვა საქონელი: ღვინო, ბორჯომის წყალი, დაფნის ფოთოლი, თხილი, ყველი და სხვა. მოსკოვიდან კი მიიღო ცეკავშირმა 20 ვაგონი საქონელი; უმთავრესად მანუფაქტურა.

მთავარი ოპერაციების მიმართულება.

ყველასათვის ნათელია, რომ მარტო სესხით და მიღებული საქონლის რეალიზაციით მოგებული ფულით საქმე წინ ვერ წავიდოდა; საჭირო იყო, რომ ცეკავშირი თვით გამოსულიყო საკუთარი საქონლით იმ ბაზარზე, რომელიც საქართველოს მოაწვდიდა საჭირო საქონელს. ეს მით უფრო იყო საჭირო, რომ საქართველოს შიგნით სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგები, მაგალითად მეღვინეობა, გასაღების კრიზისს განიცდიდა. რადგან საქართველოს შიგნით ღვინის დიდძალი მარაგი დაგროვდა, სხვაგან კი ის არსად გაჰქონდათ, ღვინოზე ფასები ისე დაეცა, რომ არ ფარავდა ვაზის მკურნალობის ხარჯებსაც კი. ჩვენი მეღვინეობის ამ მდგომარეობიდან გამოსაყვანად ცეკავშირის ახალმა გამგეობამ გადასდო 10,000 მანეთი და დაავალა სავაჭრო დარგს მიეღო მეღვინეებიდან ღვინის საჭირო რაოდენობა, გადაეხადა ფრახტი და აქციზი და გაესაღებია ეს ღვინო. მიღებული ფული კი ხარჯების და მინიმალური საკომისიო გასამრჯელოს გამოკლებით დაებრუნებია მეღვინეებისათვის. სავაჭრო განყოფილებამ ეს დავალება შეასრულა და თუმცა მოსკოვში ფაქტიურად მხოლოდ 2130 ვედრა ღვინო გაიგზავნა, მაგრამ საქართველოს შიგნით ღვინის ფასმა აიწია და ახლა თითქმის ომის წინ არსებულ ფასებს უდრის. ასეთივე პრინციპს ატარებდენ ცეკავშირის ახალი ხელმძღვანელები სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მიმართაც.

ახალმა გამგეობამ შეიძინა აგრეთვე აბრეშუმის საქსოვი ქარხანა. აქაც გამგეობა ხელმძღვანელობდა არა კომერციული, არამედ ჩვენი სოფლის მეურნეობის და საერთოდ საქართველოს ეკონომიური ინტერესებით სტატისტიკური ცნობებით საქართველოში ომამდი გროვდებოდა 120000 ფუთი პარკი. მთელი ეს 2 ნახევარ 3 მილიონ მანეთად ღირებული სიმდიდრე გაქონდათ საზღვარ-გარეთ. ცეკავშირის აბრეშუმის საქსოვი ქარხანა დაამუშავებს წელიწადში 60 70 ათას არშინ აბრეშუმის ქსოვილს, ამას დასჭირდება მხოლოდ ჩვენი პარკის 1-2 პროც. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია და მას, რასაკვირველია მოყვება სხვა ბევრი ასეთი ფაბრიკის გახსნა.

ჩვენი გლეხობის მსყიდველობითი უნარი იმდენათ სუსტია, რომ ის თითქმის ვერ ახერხებს მისთვის საჭირო ქალაქის პროდუქტების შეძენას. ეს მდგომარეობა გამოწვეულია სიმინდზე დაბალი ფასებით. ფუთი სიმინდი ახლა ფასობს 12-15 კ. ფუთი, იმ დროს, როცა ომამდი ფასობდა 50 60 კაპეიკი. ცეკავშირმა მიიღო ნებართვა 400,000 ფუთი სიმინდის გატანაზე და თუ ეს ოპერაცია თავის დროზე ჩაატარა, საგრძნობათ გააუმჯობესებს გლეხების მდგომარეობას.

აბრეშუმის პარკის დამზადება ამ წელს სავსებით დაევალა ცეკავშირს. ცეკავშირი წინეთ ამზადებდა პარკს რაიონული კავშირების საშუალებით. წრეულს ცეკავშირმა უშუალოდ მიიღო [illegible] დაარიგა წარსული წლის დივიდენდები და ახლა აწყობს აპარატს პარკის დამზადების ოპერაციის უფრო უკეთესად ჩასატარებლად.

პროფგანათლების მთავარმმართველობის მუშაობის მოკლე ანგარიში

1. უმაღლეს და საშუალო (ტეხნიკუმების) სასწავლებელთა შესახებ.

მიმდინარე სამოსწავლო წლის დამდეგამდე რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთა (ტეხნიკუმების) შტატებს შემთხვევითი ხასიათი ჰქონდათ.—მართალია, ჯერ კიდევ წარსულშივე მოხდა ტეხნიკუმების გადაჯგუფების შემდეგ, მათი კატეგორიებად დაყოფა მოწაფეთა შემადგენლობის მხრივ და გამოირკვა, რომ ტეხნიკუმები ერთ, ორ, სამ და მრავალ კომპლექტიანებია, მაგრამ მათში არ იყო დაცული მასწავლებელ თანამშრომელთა მუდმივი და მკვიდრი რაოდენობა. ზოგან იმაზე მეტი იყო, რაც უნდა ყოფილიყო ნამდვილად, ზოგან კი ნაკლები. ახლად გამომუშავებულნა და განათლების სახალხო კომისარის მიერ უკვე დამტკიცებულმა მკვიდრ შტატებმა მოსპო ეს არევ-დარევა სასწავლებლებში და დღე-დღეზე მოსალოდნელია ამ შტატების კანონმდებულების გზით ცხოვრებაში გატარება რესპუბლიკის უმაღლეს მთავრობის დასტურით.

თანამედროვე ცხოვრების პირობების მიხედვით უმაღლეს სასწავლებელთა წინად არსებული დებულება ვერ აღმოჩნდა სავსებით დამაკმაყოფილებელი და ამ სასწავლებელთა ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა ზოგ-ზოგ გაუგებრობას: ვერ იყო მოწესრიგებული სამეცნიერო ძალთა და სტუდენტთა შემადგენლობის ურთიერთი დამოკიდებულება; მოისუსტებდა აგრეთვე ადმინისტრატიულ—მეურნეობის გამგებლობის ნაწილიც.

გაითვალისწინა რა ყველა ეს მთავარმმართველობამ, იგი შეუდგა ახალ დებულების გამომუშავებას, რაც მან დაათავა იანვარ—თებერვალში და უკვე დამტკიცებული განათლების სახ. კომისარის მიერ, გადაუგზავნა სახელმძღვანელოდ უნივერსიტეტს და პოლიტეხნიკურ ინსტიტუტს, სადაც ადმინისტრატიულ მმართველობის წევრთა და სამეცნიერო ძალთა არჩევნები უკვე გატარდა ამ ახალ დებულების მიხედვით.

საქმის ნაყოფიერად წარმოებას დიდად ხელს უშლიდა უმაღლეს სასწავლებლებლებსა და სპეციალურ ტეხნიკუმებში თანხების უქონლობა. მოუწყობელია მეტადრე უნივერსიტეტის და პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის კლინიკა—ლაბორატორიები. ამ ნაკლს მეტის სიმწვავით გრძნობს უნივერსიტეტთან ახლად დაარსებულ პოლიტეხნიკური ფაკულტეტი, რომელსაც თითქმის არავითარი მოწყობილება არ გააჩნია. დიდ შევიწროებას განიცდიდა, ამ მხრივ აგრეთვე ტფ. მე-5 სპეც. ტეხნიკუმიც (პოლიტეხნიკური სასწავლებელი). ამისათვის უმაღლეს მთავრობისაგან გამოთხოვილ იქმნა უწყებული თანხა, რომელიც განაწილებულ იქმნა აღნიშნულ სასწავლებელთა შორის ამნაირად: უნივერსიტეტს 1.400 000 ათ. მან.; პოლიტ. ინსტიტუტის 700.000 ათ. მან.; მუშათა და ფაკულტეტის სექტორიმ მის გამგებლობაში არსებულ სასწავლებელთათვის 1.450.000 ათ. მან.; ტფილ. მე-5 სპეც. ტეხნიკუმს 1.000 000 ათ. მან.; ხოლო 300 000 ათ. მან.; დარჩა პროფ. განათლების მთავარმმართველობის განკარგულებაში დანარჩენ სპეციალურ ტეხნიკუმებისათვის. სამეცნიერო ნაშრომთა გამოსაცემად უნივერსიტეტს მიეცა 1.000.000ათ. მან., ხოლო ფსიქიატრულ კლინიკის მოსაწყობად 300 მილ. მან.

პროფ. განათლების მთავარმმართველობა იმ თავითვე შეუდგა ახალ საფუძვლებზე დამყარებულ ცხოვრების პირობებს. იგი დარწმუნდა, რომ არსებული ძველი ტიპის, ე. ი. ჰუმანიტარული სასწავლებელი ვერ დააკმაყოფილებენ იმ მოთხოვნილებათ, რომლებიც ასე მკაცრად წამოაყენა ინდუსტრიალურ-ტეხნიკურ და ელექტროფიკაციის ხანამ.

რესპუბლიკაში დაქვეითებულ პრიმიტიულ მეურნეობის ხალხის ეკონომიურად მოღონიერების და მრეწველობის ფეხზე დასაყენებლად ქვეყნისათვის საჭირო შექმნა არა მხოლოდ ჰუმანიტარული, არამედ უფრო ინდუსტრიალურ-ტეხნიკურ და სასოფლო-სამეურნეო განათლების და სწავლა ცოდნის შეტანა მასში.—ეს გეზი იმ თავითვე აიღო მთავარმმართველობამ და პირველ ყოვლისა შეუდგა უკანასკნელ ორი ტიპის სასწავლებელთა სასწავლო გეგმების და პროგრამების შედგენას.

ამ მიზნით წარსულსავე წელს შესდგა მთავარმმართველობასთან განსაკუთრებული კომისია, რომელმაც შარშანვე დაიმუშავა სასწავლო გეგმები, ხოლო პროგრამების დამუშავებას იგი აწარმოებდა მიმდინარე წლის მარტის 15-დე, როცა ოფიციალურად გაუქმდა აღნიშნული კომისია, რომელმაც რამდენიმე ათეული დამუშავებული პროგრამები წარმოუდგინა პროფგანათლების მთავარმმართველობას.

წარსულ 1921—22 სამოსწავლო წლის განმავლობაში ტეხნიკუმების (მეტადრე პროვინციაში) რევიზია ნაკლებად სწარმოებდა, რადგან ამისათვის საჭირო ძალები არ მოეპოვებოდა პროფგანათლების მთავარმმართველობას. ამ სამოსწავლო წლის დასაწყისში კი მასთან დაინიშნა მუდმივი მთავარი ინსტრუქტორი, რამაც მთავარმმართველობას მისცა სრული შესაძლებლობა მოეწყო პროვინციის ტეხნიკუმების რევიზია.

ამ სამოსწავლო წლის განმავლობაში მთავარმა ინსტრუქტორმა მოახდინა რევიზია გორის, შორაპნის და ქუთაისის მაზრის და ქ. ფოთის, ტეხნიკუმებისა, ხოლო პროფგანათლების მთავარმმართველობის გამგემ დაათვალიერა ოზურგეთის მაზრის ტეხნიკუმები. ამავე დროს თვით ტფილისის ტეხნიკუმების რევიზიას ახდენდა გამგის მოადგილე.

ამ ჟამად მთავარი ინსტრუქტორი მივლინებულია ზუგდიდის და სენაკის მაზრებში ტეხნიკუმების სარევიზიოდ, ხოლო ამ ახლო ხანში ამავე მიზნით ქ. ქ. ხაშურსა, ზესტაფონსა და ქუთაისში გაემგზავრება პროფგანათლების მთავარმმართველობის გამგის მოადგილე,—შედეგი რევიზიებისა თავის დროზე მოხსენდა პროფგანათლების მთავარმმართველობას, ამ უკანასკნელმა კი თავის დროსვე აცნობა განათლების განყოფილებათა გამგეებს რევიზიის დროს შენიშნული დეფექტები სათანადო ზომების მისაღებად.

(დასასრული იქნება).

ს. ს. ს. რ. სახალხო მამულებში

კარდანახის სახალხო მამული.

კარდანახის სახალხო მამული მდებარეობს შიგნით კახეთში და უკავია მხოლოდ ვენახებს. მამულში არის სანერგე, რომელიც ამზადებს ამერიკულ მწარე ლერწს როგორც თავისი ძველი ვენახების აღსადგენად, ისე ადგილობრივ მცხოვრებთა საჭიროებისათვის. მარტში აქ მოეწყო სკოლა ამერიკული სისტემის სანამყნე ვაზების შესასწავლი და დასამზადებელი. უკვე დაამზადეს რამდენიმე ათი ათასეული ადგილობრივი ჯიშის ნამყენი. ამავე მამულის ვენახის ბაღში წრეულს გააკეთეს ამერიკული ვაზების ახალი სანერგე ერთი დესიატინის მანძილზე, იქვე მოეწყო ამერიკული ვაზების სკოლა მომავალი წლისათვის, გადაბრუნებული მიწა 3—დესიატინის სივრცეზე. ბაღებში სწარმოებს სასეზონო მუშაობა, რომელიც მთელი ზაფხულის განმავლობაში გაგრძელდება.

ზედაზანის სახალხო მამული.

მამული იმყოფება ოზურგეთის მაზრაში და შეიცავს 35 დესიატინას, სადაც გაშენებულია უმაღლესი და ძვირფასი კულტურის მცენარეული, როგორიც არის ჩაი (უჭირავს 20 დესიატინა მიწა) მანდარინები და ლიმონები 2 დესეტინა. ბამბუკი 1 ნახ. დესტ. არის აგრეთვე სამი დესტ. ვენახი, პატარა ხილის ბაღი, და ძვირფას კულტურის სანერგები. (მანდარინებისა და პამერანცების) მარტში გაისხლა ჩაის პლანტანციის დესეტინა, გაისხლა და დაიბარა 700 ძირი მანდარინის და ლიმონის 9 და 1 ნახ. დესეტ. ვენახი მამულში არსებობდა ჩაის დასამზადებელი ქარხანა, მაგრამ უკანასკნელ ხანებში შეუკეთებლობის გამო, შეჩერდა. ქარხანას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან აქ შესაძლებელია დამუშავება, როგორც საკუთარი მამულის, ისე ახლო-მახლო მდებარე სოფლებიდან გატანილი ჩაის. ამ ჟამად მამული საკუთარივე სახსარით აწარმოებს ქარხნის შეკეთებას, აგებულია ახალი შენობა ქარხნის მოსათავსებლად, ასე რომ მიმდინარე სეზონში ქარხანა ამუშავდება და დააკმაყოფილებს, როგორც თავის, ისე ახლო მდებარე სოფლების საჭიროებას.

მუკუზანის სახალხო მამული.

შეიცავს 46 დესიატინა ვენახს, სადაც ამ ჟამად გაცხოველებული მუშაობას სწარმოებს. გაზაფხულის ალოზე უკვე შეასწორეს მავთულები, ვაზის მისაკვრელი სარები და გადახნულია სავენახე ადგილები. მუკუზანიდან გაგზავნილია წინანდალის მამულში 3 ათასი ვედრო ღვინო.

სადახლოს სახალხო მამული.

ეს მამული ბორჩალოშია და შეიცავს მეურნეობის შემდეგ დარგებს: მევენახეობას და მეხილეობას, მეველეობა და მებოსტნეობა. დამხმარე დარგებია მამულის სამეურნეო საჭიროებისთვის, მამულს აქვს თავის წისქვილი, რომელიც ახლო-ხან შეაკეთეს და აამუშავეს, ყველა ჩამოთვლილ ადგილებში გაზაფხულის სეზონში დიდი მუშაობა სწარმოებდა. გადააბრუნეს სავენახე ადგილები და დაბარეს ძველი ვენახები, გასხლეს ხეხილი, გარდა ამისა სხვა და სხვა მავნე სნეულებათა დასაცველად კირით და თიხით შეალესიეს ხეების ტანი.

მუშათა ცენტრალურ კლუბში

(მოკლე სტატისტიკური ცნობები სკოლებისა).

მუშათა ცენტრალურ კლუბთან არსებობს 1 საფეხურის სკოლა რუსულ ენაზე. სკოლა დაარსდა 1 ნოემბერს 1922 წ. ხელმძღვანელობს მასწავლებელი ნ. რაევი. საერთო რიცხვი მსმენელებისა უდრის 30 კაცს ამაში მუშები და მათი შვილები 26. მოსამსახურე და მათი შვილები—4

პროფკავშირების მიხედვით მსმენელები გაიყოფებიან შემდეგნაირად: 1. რკინის გზელები—8 კაცი, 2. გემო-კვების კავშ.—5 კაცი, 3. საბჭოთა მოსამს. კავშ.—4 კაცი, 4. მეტყავეთა კავშ.—3 კაცი, 5. მკურნალთა კავ.—2 კაცი, 6. კომუნალ. მეურნ. კავშ.—1 კაცი, 7. განათლ. მუშ. კავშ.—1 კაცი, 8. საქსოვ. მუშ. კავ. —1 კაცი, 9. აღმშენებელ. მუშ. კავშ. —1 კაცი, 10. ხელოვნების მუშ. კავშ.—1 კაცი, 11. ნემსის მუშ. კავშ. —1 კაცი, 12. წითელ არმიელები—1 კაცი, 13. გლეხი 1 კაცი. ეროვნების მხრით გაიყოფებიან: რუსები—9, ქართველი—7, სომეხი—6, სხვ. ეროვნები—8, სქესის მხრით: მამაკაცი—20, დედაკაცი—10. საერთო პროცენტი სკოლაში მოსიარულეთა უდრის 90.

მე-II საფეხურის სკოლა.

სკოლა არსებობს 1-ლ ნოემბრიდან 1922 წ. საერთო რიცხვი მსმენელებისა—21. აქედან: მუშები და მათი შვილები—9. მოსამსახურე და მათი შვილები—12. პროფკავშირების მიხედვით მსმენელები დაიყოფებიან შემდეგ ნაირად: მელითონეები—4. მკურნალთა კავშ.—3. საბჭოთა მოსამ. კავშ. 4. მეტყავეთა კავშ.—2 განათლ. მუშ. კავ. 2. გემოკვების კავ. 1. ქიმიკები—1. კომუნალ. მეურნ. კავ.—1. აღმშენებელ. კავშ.—1 წითელ არმიელები—1. გლეხი—1. ეროვნების მხრით შემდეგნაირათ გაიყოფებიან: რუსი—4, ქართველი—5, სომეხი—10. სხვ. ეროვნება—2. სქესის მხრით: მამაკაცი—10, დედაკაცი—11. სკოლაში მოსიარულეთა საერთო პროც.—75 პროც. კლუბთან არსებობს წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის სკოლა რუსულ ენაზე, დაარსებულია 27 მარტს 1923 წ. საერთო რიცხვი მსმენელებისა—21.

მუშები და მათი შვილები—21.—100 პროც. აქედან მამაკაცი—21.

ეროვნების მხრით: სომეხი—8, სხ. ეროვნება—13. მოსიარულეთა საშუალო პროც.—50 პროც.

1-ლ საფეხურის სკოლაში (სომხურ ენაზე) დაარსებული 1 ნოემბრის 1922 წ. საერთო რიცხვი—23.

მუშები და მათი შვილები—23.
აქედან მამაკაცია—16, ქალი—7. საშუალო მოსიარულეთა 80—90 პროცენტამდე.

ი. ელიაშვილი.

პროფკავშირებში

პროფსაბჭოს პრეზიდიუმში.

ახალ სამდივნოს შემადგენლობა.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა 22 ივნისის სხდომაზე ამოირჩია ახალი სამდივნო, სამდივნოს შემადგენლობაში შედიან: ამხ. **ყურულაშვილი ჟუღელი და მარკაროვი.** კანდიდატებად: **რუხაძე და ელბაქიანი.**

ბათომის და შორაპნის არტელების შესახებ.

ბათომის და შორაპნის არტელის ტვირთ-მზიდველთა საქმის მდგომარეობის გამოსარკვევად დაარსებული იქნება სპეციალური კომისია, რომელიც ადგილობრივ გაეცნობა საქმეებს.

უახლოეს მუშაობის შესახებ

პრეზიდიუმმა წინადადება მისცა პროფსაბჭოს ყველა განყოფილებებს შეადგინონ გეგმა თავიანთ მომავალ სამი თვის მუშაობის შესახებ და წარუდგინონ დასამტკიცებლად.

ჰაეროპლანი „საქართველოს პროფკავშირები“

პრეზიდიუმმა მიიღო ამხ. სირკევის წინადადება ჰაეროპლანის „საქართველოს პროფკავშირების“ აშენების შესახებ.

მესამე ყრილობის ბეჭდვითი ანგარიშის გამოცემა

პრეზიდიუმმა დაადგინა გამოსცეს, სრ. საქართ. მესამე ყრილობის ანგარიში რუსულ და ქართულ ენაზე.

შრომის მეცნიერულ ასოციაციის წარმომადგენლად.

პრეზიდიუმმა დაადგინა შრომის მეცნიერულ ასოციაციის პრეზიდიუმში წარმომადგენლად დანიშნოს ამხ. ელბაქიანი.

აფხაზეთის პროფკავშირებში.

შრომის სასახლე

აფხაზეთის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: შეაკეთოს შრომის სასახლე და ამის საჭირო თანხა შეგროვდეს კავშირების შორის პროცენტულ გადასახადის სახით

დასასვენებელი სახლები

აფხაზეთის პროფსაბჭო მუშათა დასასვენებელ სახლებში მეტად მცირე ადგილი აქვს დათმობილი. ამიტომ პროფსაბჭომ შუამდგომლობით მიმართა აფხაზეთის სახ. კომისართა საბჭოს, რომ მუშათა დასასვენებელ სახლების მოსაწყობად მას გადასცეს მეტელევის ყოფილი აგარაკი.

მუშების გადაგზავნა სანატორიუმში

პროფსაბჭომ დაადგინა: მიმდინარე ზაფხულის გაგზავნის ავადმყოფი მუშები სამკურნალოდ სანატორიუმებში.

ქუთაისის პროფბიუროში.

მოწამეთის ქონების შესახებ.

ქუთაისის სამაზრო პროფბიუროს პრეზიდიუმმა დაადგინა: მონასტერ მოწამეთის ქონების მიღების საკითხი დააყენოს ბიუროს უახლოეს სხდომაზე.

წამლების შესაძენად.

პროფბიურომ დაადგინა: მისცეს აფთიაქებს წამლეულობის ნაკლეულობის გამო ჯანმრთელობის განყოფილებიდან მაისის და ივნისის თვის პროცენტების ანგარიში 2 მილიარდი მანეთი. შემდეგისთვის კი შეძლებისდაგვარად გაუწიოს დახმარება.

დავეხმაროთ დიად საქმეს

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, მაინც ამ მცირე ხნის განმავლობაში მრავალი თვალსაჩინო და ღირსშესანიშნავი საქმენი დაგვირგვინდა, როგორც სამეურნეო ისე კულტურულ ფრონტზე, მშრომელი მასის ენერგიული დახმარებით.

ამ მხრივ არც ქ. ლანჩხუთი ჩამორჩა საქართველოს სხვა კუთხეებს. ლანჩხუთის აღმასკომმა გასჭრა ახალი კალაპოტი მდ. რიონისთვის, რომლითაც გადაარჩინა მრავალი ნათესი მიწები წყალდიდობის წალეკვისაგან და რამაც დიდათ შეუწყო ხელი სასოფლო მეურნეობის აღდგენას. ამასთან ერთად ამ ერთი წლის წინათ ადგილობრივ ხელისუფლებამ მშრომელ მასასთან ერთად საფუძველი ჩაუყარა მეტად სიმპატიურ და კულტურულ საქმის „სახალხო სახლს“.

რა თქმა უნდა ამ საქმის ინიციატორები დარწმუნებული იყვნენ, იმაში რომ ისინი ვერ შესძლებდნენ ისეთ მცირე თანხით რომელიც მათ განკარგულებაში იყო, „სახალხო სახლის“ აგებას, მაგრამ იმედოვნებდენ, რომ ამ მეტათ კულტურულ და ისტორიულ საქმეს გამოეხმაურებოდა, როგორც გურიის, ისე საქართველოს მშრომელი მასა.

ამ მიზნითაც ადგილობრივ კომპარტიის [illegible] კომიტეტის, აღმასკომის და [illegible] გაერთიანებულ კრებამ აირჩია „სახალხო სახლის“ საამშენებლო კომისია შემდეგი პირებისაგან: ამხ. პარმენ ცინცაძე 2. თედო ღლონტი 3. დავით ლორთქიფანიძე 4. აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე თ. ხიმშიაშვილი 5. კოწია იობიშვილი 6. ანდრო დოლიძე 7. კონსტანტინე ცინცაძე 8. ტიტე ართმელაძე 9. პეტრე მიქაძე, 10. სოლომონ დოლიძე 11. ვარლამ ებრაელიძე 12. პლატონ შენიაშვილი, 13. ვარლამ იმნაძე 14. ვანო მახარაძე 15. კოლია ცინცაძე 16 აფრასიონ ურატაძე 17. კონსტანტინე მარჯანიშვილი 18. გიორგი ფაცურია 19. ბართლომე გვარჯალაძე და 20. გრამიტონ სვანიძე. რომლებსაც ევალებათ მიიღონ ყოველივე ზომები და აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება „სახალხო სახლის“ ფონდის შესაქმნელად.

ლანჩხუთის მშრომელი გლეხობა დარწმუნებული არის, რომ საქართველოს მუშები და გლეხები არ დაიზარებენ თავიანთ წვლილს და გამოუწვდის ძმურ ხელს ამ დიად მიზნის მისაღწევათ.

პრეზიდიუმის თავმჯდომარე: პ. ცინცაძე

კომისიის წევრები: 1. პ. მიქაძე, 2. ვანო მახარაძე.

ქრონიკა

განათლების კომისარიატში

— **გამოცდები.** თანახმად პროფგანათლების მთავარ მმართველობის დადგენილებისა, 15 ივნისს დამთავრდა სიმწიფის მოწმობების მიმღებთა გამოცდები: ტფილისში, ქუთაისში, თელავში და ოზურგეთში. ტფილისში 50 კაციდან გამოცხადდა 11 კაცი, ხოლო სიმწიფის მოწმობა მიეცა 6 კაცს.

— **ახალი თურქული სიტყვარი.** კოჯორში არსებულ მუსულმანურ მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსებისათვის, განათლების კომისარიატმა მიიღო თურქული სიტყვარი ლათინურ შრიფტით. 100 ცალი.

ქალაქის აღმასკომში

— **პოლიტ. გან. განყოფილება.** პოლიტ-განათლების განყოფილებას გადაეცა 1,700,920,000 მან. მაისის ხარჯების დასაფარავათ.

— **ქალაქის სახალხო სახლის შეკეთება.** კომუნალური განყოფილება, წამოყენებულ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის შემდეგ, შეუდგება ქალაქის სახალხო სახლის შეკეთებას.

— **მუშათა სახლების აგება.** წინადადება მიეცა საადგილ-მამულო განყოფილებას, ვაკეზე მდებარე მიწის ნაკვეთები ჩამოერთვას მოიჯარადრეებს და ხსენებულ მიწებზე აგებული იქნეს მუშათა სახლები.

— **ქუჩის ძაღლების მოსასპობად.** გადიდებულ იქნა ქუჩის ძაღლების დამჭერთა შტატი, რომლის მიზანია სავსებით მოსპონ ქუჩებში მოხეტიალე ძაღლები.

ჯანმრთელობის კომისარიატში.

— **წამლების შეძენა.** ჯანმრთელობის კომისარიატმა შეიძინა დიდძალი სამკურნალო წამლები (ბელკამენტები), რომლებიც გაუნაწილდება რესპუბლიკის დაბა-ქალაქების აფთიაქებს.

— **აგარაკების სამმართველოს გადატანა.** ჯანმრთელობის კომისარიატის საგარაკო სამმართველო გადატანილი იქნა ბორჯომში, სეზონის დასრულებამდე.

კრებები და მოხსენებები

— კვირას 24 ივნისს საღამოს 7 საათზე ვაჟთა პირველი ტეხნიკუმის შენობაში (გუნიბის ქ. № 46) საენათმეცნიერო საზოგადოების მორიგ კრებაზე წაკითხული იქნება სარგის კაკაბაძის მიერ მოხსენება „მოსაზრებანი სახარების ქართულად თარგმნის შესახებ ხანმეტურ ტექსტებთან დაკავშირებით“. დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

სხვა და სხვა.

— **1922 წლის 30 ნოემბრის სრულიად საქართველოს საქალაქო აღწერა.** საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავებამ უკვე დიდი ხანია გაიარა წინასწარი დასამზადებელი საფეხურები და მაისის ბოლო რიცხვებში დაიწყო ამ მასალების დაჯგუფება და ციფრიული დამუშავება-გამოთვლა. ამ ჟამად შედგენილია 6 ცხრილი, რომელიც აშუქებს შემდეგ საკითხებს: მოსახლეობის შემადგენლობას სქესის, წლოვანების, ეროვნების, ბინადრობის, ხანგრძლივობის, ოჯახური მდგომარეობის, წერა-კითხვის ცოდნის მიხედვით. ამჟამად სწარმოებს ხსენებული მასალების დამუშავება განათლების ცენზის მიხედვით. საბოლოო ჯამები გამოყვანილია ორი საკითხის შესახებ: მოსახლეობის შემადგენლობა წლოვანების და ეროვნების მიხედვით დაბადების ადგილთან დაკავშირებით. ეს უკანასკნელი ცნობები გამოქვეყნებული იქნება სტატისტიკის სამმართველოს მიერ ამ დღეებში.

— **შაქრის რეალიზაცია.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ბათომის განყოფილებამ სოხუმში გაგზავნა ორი-ვაგონი შაქარი თუთუნზე გადასაცვლელათ.

— **თუნუქის მიღება.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა გერმანიიდან მიიღო ორი ათასი ფუთი სახურავი თუნუქი.

— **წყალტუბოს აბანოს შეკეთება.** დასრულდა წყალტუბოს აბანოების შეკეთება, რომლებიც ძალზე დაზიანებული იყო. აღნიშნული აბანოები უკვე მუშაობენ.

შრომის ბირჟა.

— უმუშევრები. 22 ივნისს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 461 უმუშევარი, ჩაეწერა—125, გაიგზავნა სამუშაოზე—47.

ხელოვნება

სახალხო სახლი.

სეზონის დასრულება.

სახალხო სახლის წლევანდელი სეზონის შეფასებისთვის აუცილებლად საჭიროა იმის გათვალისწინება, თუ როგორ პირობებში დაიწყო ის. ჩვენი თეატრების კოლი სიარული და სეზონის გასწვრივ ხერხემალის გაუსწორებლობა უნდა ვეძიოთ თეატრის მესვეურთა დაუდევრობაში. და ეს დაუდევრობა ყოველთვის იმაში გამოიხატება ხოლმე, რომ სეზონს მოუმზადებელი ხვდებოდენ, რაც მთელი წლის მუშაობას საგრძნობ დაღს აჩნევს. ყოვლად შეუძლებელია მხატვრული მიღწევებით სეზონი გამართლდეს თუ დასს, სეზონის გახსნისთვის, რამდენიმე პიესა არ აქვს მომზადებული.

ოთხი-ხუთი პიესის ზაფხულში მომზადება დასს შესაძლებლობას აძლევს სეზონის განმავლობაშიაც ახალ-ახალი პიესები ამზადოს და ამნაირად შაბლონიურ და ძველ ტრადიციულ გზებს ასცდეს. ეს დიდი ნაკლი ქონდა სახალხო სახლის ქართულ დასს და ამ ნაკლით გაიხსნა წლევანდელი სეზონიც.

წინასწარ მოუმზადებლობას და რეპერტუარის უქონლობას თან სდევდა სახის გამოურკვევლობა.

დასმა დანამდვილებით არ იცოდა სხვას ეკუთვნოდა თუ თავის თავს, სახელმწიფოს იყო თუ კოლექტივი თავის საკუთარ რესურსებზე დამყარებული. ეს იყო მთავარი მიზეზი, რომ დასი ზაფხულშივე არ შეუდგა მზადებას და, როგორც ყოველთვის, წლევანდელი სეზონიც ნაჩქარევათ გაიხსნა.

სახალხო სახლის ქართული დრამის მუშაობას თავიდანვე ორიგინალური პიესები ასულდგმულებდენ. ტრ. რამიშვილი, ავქს. ცაგარელი, შიუკაშვილი, ივ. გომართელი, ჭანტური, შვილი, შალვა დადიანი და სხვა. აი, ვისი პროფილები დასდევენ თან სახალხო სახლის ოცდა ათი წლის მოღვაწეობას. წელს დადგმულ ორიგინალურ პიესებში საზოგადოების ყურადღება ნ. გერგესულის პიესებმა მიიქციეს. მისი „დამზრალი წალკოტი“ სახალხო სახლის აუდიტორიისთვის სრულიად გაუგებარია, მაგრამ მისი დადგმა აუცილებლად საყურადღებო და აღსანიშნავია. გერგესელი ჯერ სრულიად ახალი ძალაა, ჩვენ არ ვიცით როგორ სახეს მიიღებს მისი მომავალი მუშაობა, მაგრამ ერთი ფაქტია: ის ინტუიციის პატრონია და თუ ხალხთან უფრო ახლოს იქნება, უეჭველად შესამჩნევ კვალს დააჩნევს ჩვენ სახალხო თეატრს.

ამ სეზონში რამდენჯერმე დაიდგა მისი „დამზრალი წალკოტი“, „ნილაბ ქვეშ“, „გზაჯვარედინზე“ და გადმოკეთებული „ელეონორა“.

წლევანდელი სეზონი გაიხსნა ი. გედევანიშვილის „მსხვერპლით“.

ი. გედევანიშვილი სახალხო თეატრის საპატიო დრამატურგია, მისი „გამცემი“ და „მსხვერპლი“ დიდ ხანს იქნება სახალხო სახლის დამამშვენებელი. წელს „მსხვერპლი“ რამდენჯერმე იქნა განმეორებული. მხატვრული მიღწევებით შესრულდა ია ეკალაძის „ნომერი ოცდა ერთი ჯვრით“. კლასთა ბრძოლა სანამ იქნება, ია ეკალაძის № 21 ჯვრით რეპერტუა-

მუშათა ცხოვრება

გლეხის სიმღერა

(ძღვნად ამხ. მუშებს).

კონკის ძველებში გამოზრდილი ვარ,
არ ვარ ჩვეული მე მოსვენებას,
მხოლოდ ვინც მომცა თავისუფლება
იმათ უგალობ „ქებათა-ქებას“.

მე არც მქონია, არც მექნება ის,
რას ეძახიან სხვები „სამშობლოს“,—
სადაც დავფარცხავ, დავთეს-მოვიმკი,
სწორედ იქ ვპოვებ ჩემსა სამშობლოს.

— ეს ლურჯი ცა, ხომ ყველასია!
წყალში ვინ სთესავს ვარდს, ან ყვავილებს?!
ჩვენ როდის გვქონდა ოქროს სასახლე,—
სად აქვთ სამშობლო გლეხისა შვილებს?!

ჩემი ტახტია ჩემი ყანები,
სახნის-საკვეთი ჩემი—ეთერი;
ჩემებრ ტანჯული ჩემი გზით ივლის
სულ ყველა ქვეყნის ჩაგრული ერი.

ენა დაბმული, როგორც ცხოველი,
ვიყავ ტანჯული, ცხოვრების გერი...
ეხლა მე რომ ვარ ჩემი პატრონი,
გამარჯვებული, იმიტომ ვმღერი!

მიწა მინდოდა, კიდეც მივიღე!
სწავლა მაკლია, იმასაც ველი...
მაშინ სამოთხეს დაემზგავსება
მთელი მსოფლიო, მთა-ბარი—ველი.

წარსულში, მართლა, ბეჩავი ვიყავ.
ეხლა მაგრად ვარ „ცხოვრების გერი“.
კისერში ხახვსა ვერვინ დამაჭრის,
რადგან დაემხო მუშათა მტერი.

ვახო რ.—შვილი.

არანორმალური მოვლენა.

(შრომის კომისარიატის და პროფკავშირთა საყურადღებოდ)

სახურსათო კომისარიატის მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომის მიერ არა ერთხელ იქნა აღძრული შუამდგომლობა ადმინისტრაციის წინაშე, რათა დაწყებულ იქნეს მუშა-მოსამს. შვებულებაში დაშვება. აგერ ივნისი თავდება და შვებულებისათვის არაფერი არ კეთდება. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას, ვისგანაც ჯერ არს.

მუშკორი ი.—ზ.

„ცენტროტრამოტა“-ში.

ტფილისის „ცენტროტრამოტა“-ში ცოტა ხნის წინად ერთობ ბევრი დეფექტები იყო. მაგრამ ამ ჟამად ეს დეფექტები რამოდენიმედ მაინც გამოსწორებულია: მუშებს მიეცათ „სპეცტანთსაცმელი“. ჯამაგირების დარიგება აქ უწინ უფრო იგვიანებდა. იგვიანებს ეხლაც რამოდენიმე დღით, მაგრამ იმედი გვაქვს ესეც გამოსწორდება.

აქაურ მუშათა შორის დიდ დაბრკოლებადაა დარჩენილი ბინის საკითხი. მრავალი მუშა უბინაოთ არის ისინი ამ მხრივ ძალიან გაჭირვებაში იმყოფებიან.

ტრანსპორტის კავშირის მიერ კი თავიანთ მუშებისათვის კარგიხანია შეძენილია რამოდენიმე სახლი. ამ სახლებში უნდა ეცხოვრათ მხოლოდ ტრანსპორტის კავშირის მუშებს. მაგრამ სამწუხაროდ, იქ ამ მუშების მხოლოდ ათი პროცენტი თუ ცხოვრობს.

იქ ცხოვრობენ უმთავრესად სხვა დარგის საბჭოთა მუშა-მოსამსახურენი, მათ შორის კერძო პირებიც და ძველი სახლის პატრონები.

ეს არ არის სამართლიანი. მუშების სახელზე აღებული სახლები მხოლოდ იმავე მუშებისათვის უნდა არსებობდეს. ნამდვილად კი უმეტესი ნაწილი მუშებისა, რომელნიც ამ ბინაში უნდა ცხოვრობდნენ, არის უბინაოდ.

კავშირმა უნდა შესძლოს დასახელებულ სახლების განთავისუფლება სხვა ელემენტებისაგან და იქ უნდა ჩაასახლოს თავისი უბინაო მუშები.

მუშკორი ძველთაგანი.

მელითონეებში

1923 წ. 16 ივნისს, ს. მ. უ. ს. ლითონის განყოფილების მე III ავტო-სახელოსნოში მოხდა ამავე განყოფილების მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 300 კაცი. თავმჯდომარეობდა ამხ. ბახტიაროვი, მდივნობდა—ვედიორკო. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება—ამხ რუბენისა „საერთაშორისო მდგომარეობაზე“, 2) მოხსენება ამხ. სიტნიკოვისა—„მელითონეთა კავშირის საქალაქო დელეგატთა კონფერენციაზე, 3) მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე მოისმინა რა ამხ. რუბენის მოხსენება „საერთაშორისო მდგომარეობაზე“, კრებამ მიიღო შესაფერისი რეზოლიუცია. შემდეგ ამხ. სიტნიკოვმა გააკეთა ვრცელი მოხსენება მელითონეთა კავშირის საოლქო დელეგატთა კონფერენციის მუშაობის შესახებ, კრების მიერ მოხსენება მიღებულ იქნა ცნობათ და მასთან კრება აღნიშნავს კონფერენციის მუშაობის სისწორეს და ნაყოფიერებას.

მიმდინარე საკითხებში მოსმენილ იქნა მუხლობრივ ახალ კოლექტიურ ხელშეკრულება, რომელიც დაიდვა ერთის მხრით ს. მ. უ. ს. ლითონის განყოფილების კოლეგიისა და მეორეს მხრით მელითონეთა კავშირს შორის. კოლექტიური ხელშეკრულება შედის ძალაში 1 ივლისიდან და მისი მოქმედება გრძელდება 3 თვით. ხელშეკრულებაში შეტანილია ახალი მუხლები, როგორც ხელფასის, ისე შვებულების გაცემის დარგში.

ხელშეკრულების ძალით 1-ლ აგვისტომდე მუშებს უნდა მიეცეთ „სპეცტანისამოსი“ და ყოველ თვე თითო გირვანქა საპონი. პირველი ხარისხის ხელფასი გამოიხატება 9 საქონლის მანეთში 17 ხარ. სატარიფო ცხრილის მიხედვით ახალი კოლექტიური ხელშეკრულება მუშა-მოსამსახურეთ გაცილებით კარგს პირობებში აყენებს.

კოლექტიური ხელშეკრულება, წაკითხვის შემდეგ, დამტკიცებულ იქნა საზოგადო კრების მიერ.

მუშკორი მელითონე.

მუშათა ქრონიკა

შრომის ექსპლოატატორების პასუხისგებაში მიცემა.

— თბილისის მე-2-ე რაიონის შრომის ინსპექტორის მიერ, შრომის ექსპლოატაციისათვის პასუხისგებაში არიან მიცემული შემდეგი მოქალაქენი.

— **1) ზარგი აბრაამ გრიგოლის ძე** (ღვინისა და არაყის საწყობის პატრონი, კირკის ქ. № 19) იმისთვის, რომ ის განუსაზღვრელათ ამუშავებდა ორ კაცს, ხელფასს ძალიან მცირეს და იმასაც გვიან აძლევდა, არ ყავდა ისინი დაზღვეული და არ მიუცია მათთვის საანგარიშო წიგნაკები.

— **2) ჩერალიანი გიორგი ანტონის ძე** (პურის საცხობის პატრონი, ელისაბედის ქ № 149) იმისთვის, რომ ის ამუშავებდა ერთ მუშას, რომელიც დაზღვეული არ ჰყავდა საანგარიშო წიგნაკის მიუცემლათ და ჯამაგირსაც ძლიერ ცოტას და გვიან აძლევდა.

— **ჩიმანსკი** (მექანიკური სახელოსნოს პატრონი, პლეხანოვის ქ. № 52), რომელთანაც მუშაობდა სამი მუშა. იმათგან ერთი შრომის ბირჟის გარეშე იყო მიღებული და ერთიც აღმოჩნდა საგზაო ინსტიტუტის მექანიკი, რომელიც შვებულებაში იყო გაშვებული და ჩიმანსკისთან კი მუშაობდა, რითაც ადგილს ართმევდა სხვა უმუშევარს.

— **შტატის შემცირება მიწ. მოქ. კომისარიატში.** აღნიშნულ კომისარიატში უკვე ჩატარდა შტატის შემცირება. შტატს გარეშე დარჩენილია 60 მუშა-მოსამსახურე, რომელნიც ამ ჟამად იღებენ სალიკვიდაციო ჯილდოს.

— **ფრანგულ ენის კურსები მუშა-მოსამსახურეთათვის.** იმავე კულტკომისიის მიერ მიწ.-მოქ. კომისარიატის მუშა-მოსამსახურეთათვის დაარსებულია ფრანგულ ენის კურსები. კურსებზე მეცადინეობა დაიწყება სულ მოკლე ხანში. კურსებში უკვე ჩაეწერა 50 მუშა-მოსამსახურე.

— **ქარხნების ამუშავება.** ს. მ. უ. ს. სატყეო განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს აამუშავოს 5 ახალი სატყეო ქარხანა, რომელთა საჭიროებისთვის უკვე შედგენილია 24 სხვადასხვა საწარმოო მანქანა.

— **შრომის კანონების განმარტება მუშებისათვის.** შრომის კანონების განმარტების მიზნით რ.-გზის მუშათა კავშირების გამგეობა სისტემატიურად აწარმოებს მუშათა შორის ლექციებს, რომელნიც შეიცავენ შრომის კოდექსის მთავარ მუხლების ახსნა განმარტებას.

— **სახელმწიფო საჯინიბოს მუშებში.** სახელმწიფო საჯინიბოს მუშა-მოსამსახურეთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობათ ეწყობა წ.-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა.

რიდან ვერ ამოიშლება. წლევანდელ სეზონს სათავეში უდგა რეჟისორ-მსახიობი შალვა დადიანი. წლევანდელი სეზონი ახალი ნაკადია სახალხო სახლის ისტორიაში და ეს ნაკადი საგრძნობ ძალას უეჭველად შალვა დადიანიდან იღებდა. შალვა წელს გაცილებით უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, რომ მუშაობა სეზონის გახსნამდე დაეწყო. მის პიესებში დაიდგა „გეგეჭკორი“ და „შენი ჭირიმე“. სიო ჭანტურიშვილის პიესები არ ჩანდნენ წელს სახალხო სახლის სცენაზე, დაიდგა მხოლოდ „ბურუსი“, რომელიც სრულებით არ შეეფერება სახალხო სახლის აუდიტორიას, თუმცა ათამაშება და დადგმა მხატვრული იყო.

სეზონს ამკობდენ აგრეთვე შემდეგი ორიგინალური პიესები: „კაცის სამართალი“, „დარისპანის გასაჭირი“, „უგვირგვინო მეფენი“, „ქრისტინე“, „სოფლის გმირები“, და სხვა. თარგმნილ პიესებში დაიდგა: „რომი“, „სამხედრო ბანაკში“ „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ და სხვა. წლევანდელი სეზონის ერთი დადებითი მხარე უეჭველად აღსანიშნავია,—ეს არის ძველი ტრადიციის დაძლევა და იმ პიესების რეპერტუარიდან ამოშლა, რომელნიც სავსებით აღარ შეეფერებიან დღევანდელ მოთხოვნილებას. დადგმულ პიესებში ძალიან ბევრი იყო ზედმეტი ბალასტი, მაგრამ ერთი ხელის დაკვრით არ შეიძლება სრული გარდატეხის მოხდენა. ამასთან ერთად აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თვით დასის მესვეურთა შეცვლაც მოხდა, რომელნიც რეპერტუარიდან ამოშლილ პიესებს თან გაჰყვენ, ყველასათვის ცხადია, რომ წლევანდელმა სეზონმა, მიუხედავად უამრავი დეფექტებისა, რუბიკონი გადალახა. მომავალ სეზონში უნდა მოხდეს სრული გამარჯვება.

სეზონი დაიხურა ტრ. რამიშვილის „მეზობლებით“.

ხელოვანი.

— **ბესო მაისურაძის იუბილე.** გუშინ, რუსთაველის თეატრში გაიმართა მუშა-მსახიობის ბესო მაისურაძის იუბილე. დღესასწაულს დაესწრო აურებელი ხალხი. იუბილიარის მონაწილეობით განსაკუთრებით კარგად ჩატარდა „ხანუმა“ (ხანუმას როლს ასრულებდა იუბილიარი) შემდეგ გაიმართა მილოცვები და იუბილიარს მიართვეს საჩუქრები.

— **იუზა ზარდალიშვილის დანიშვნა ქუთაისის დასის გამგეთ.** განათლების კომისარიატის დადგენილებით იუზა ზარდალიშვილი დაინიშნა ქუთაისის დასის გამგეთ 20 ივნისიდან.

— **ძუკუ ლოლუას იუბილე ქ. ფოთში.** ქ. ფოთში ივნისის 30 ს გადახდილ იქნება ცნობილ სახალხო ლოტბარის ძუკუ ლოლუას იუბილე მის სამუსიკო ასპარეზზე 25 წლის დაულალავი მუშაობის აღსანიშნავად.

— **ევრეინოვის და ვასილ კამენსკის ლექცია.** ორშაბათს, 25 ივნისს რუსთაველის თეატრში ლექციებს წაიკითხავენ ევრეინოვი და ვასილ კამენსკი. პირველი—პარიზზე, ხოლო მეორე—მოსკოვზე. დასასრულ კამენსკი წაიკითხავს ახალ ლექსებს.

— **მოხსენება თეატრზე.** სამშაბათს 26 ივნისს, რუსთაველის სარკის თეატრში კონ. გამსახურდია წაიკითხავს მოხსენებას „თეატრი და ექსპრესიონიზმი“. მოხსენების შემდეგ დისპუტი.

— **სეირნობა რკინის გზის საბავშვო კერის სასარგებლოდ.** დღეს, მუშტაიდის ბაღში გაიმართება დიდი საღამო სეირნობა რკინის-გზის საბავშვო კერის სასარგებლოდ.

— **წითელ-არმიელთა კლუბში.** დღეს, წითელ-არმიელთა ცენტრალ. კლუბში გაიმართება დიდი სეირნობა საქ. წითელი ჯვრის სასარგებლოდ. დასაწყისი ნაშუადღევის 4 საათზე.

— **ბერძენი პროლეტარული პოეტები.** ბერძენ მუშათა კლუბის საგამომცემლო სექცია შეუდგა პროლეტარულ პოეტების პარტაკას კანონიდის ლექსების გამოცემას: ბერძნულად, ქართულად და რუსულად.

— **მოხსენება სახალხო სახლზე.** 26 ივნისს სახალხო სახლის სარეპეტიციო სახლში (პლეხ. № 102) შესდგება მოხსენება სახალხო სახლის წარსული მუშაობის და პერსპექტივების შესახებ. მოხსენების შემდეგ კამათი.

— **ჟურნალი წითელ-არმიელებისათვის.** ახლო ხანში ტფილისში გამოვა სალიტერატურო ჟურნალი წითელ-არმიელებისათვის შემდეგი სახელწოდებით: „წინ“.

პროვინციაში

ზემო-გომი (გორის მაზრა).

4 ივნისს, გომში მოვიდნენ სურამის ლაგერში მდგომი წითელ არმიელთა ნაწილები სავარჯიშოთ. მათ თან მოიტანეს ავტომობილზე მოწყობილი კინო ფოტოგრაფი, ქართულ-რუსული ლიტერატურა და გაზეთები. სამხედრო კომისის თხოვნით, მოწვეულ იქნა ადგილობრივ მცხოვრებთა მიტინგი, წითელ-არმიელებთან ერთად.

მიტინგზე გამოვიდნენ წითელ-არმიელთა ნაწილების წარმომადგენლები და მოკლედ და ლამაზი სიტყვებით აუხსნეს ადგილობრივ მცხოვრებლებს, თუ რაზე მოვიდნენ ისინი და რომ არ წაუხდინენ გლეხებს ვარჯიშობის დროს ნათესს. მოახდინენ ვარჯიშობას ისეთ ადგილებზე, სადაც ნათესები არ არის; პირიქით, თავისუფალ დროს დაეხმარებიან გლეხებს ყანების დამუშავებაში, ვარჯიშობას კი მიტომ ახდენენ, რომ გაიწვრთნან, მზათ იყვნენ მშრომელთა ხელისუფლების დასაცავად.

ადგილობრივი ორგანიზაციის და ყველა მოქალაქეების სახელით სიტყვით გამოვიდა გომის რაიონის ინსტრუქტორი ალ. ბოგვერაძე, რომელიც მიესალმა წითელ-არმიელებს, მან, სხვათა შორის სთქვა, რომ სიხარულით შეხვდება თქვენს მოსვლას და ვარჯიშობას თავის მინდვრებში ჩვენი გლეხკაცობა. ვინაიდან მათ იციან, რომ თქვენ ხართ მათი საყვარელი წითელი გმირები და სადარაჯოზე უდგახართ მშრომელთა ხელისუფლებას.

მიტინგის გათავების შემდეგ ხალხს დაურიგეს წითელ არმიელებმა ლიტერატურა და გაზეთები. შემდეგ მოაწყვეს პროექტორი და ეკრანზე აჩვენეს ხალხს გენუის კონფერენცია, ჩიჩერინის დანახვა ეკრანზე დიდ სიხარულს იწვევდა ხალხში.

ღამის 12 საათ. დაიშალა ნასიამოვნები ხალხი. წითელ-არმიელები კი გაეშურენ დანიშნულებისამებრ. სოფელში გავლის დროს ურიგებდნენ გლეხებს წიგნებს და გაზეთებს, რითაც გლეხებში დასტოვეს დიდი შთაბეჭდილება.

მ. კუხალაშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

წესები

გადასახადის გადახდევინებისა საზოგადო სასწორით სარგებლობისათვის.

ა.-კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის და ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი 1923 წლის აპრილის 2-ს თარიღით, განყოფილება—2. თავი—3, მუხლი—6, პუნქტი—17 (ქალაქებში) და პუნქტი—6 (ქალაქ გარეთა ადგილებში).

1. საზოგადო სასწორით სარგებლობისათვის დაწესებული გადასახადი უნდა დაედოს იმ პირთ, რომელნიც ტვირთის ასაწონად საზოგადო სასწორით სარგებლობენ: გადასახადის რაოდენობა უნდა იყოს—არა უმეტეს 5 000 მან. ქალაქებში და არა უმეტეს 2,000 მან ქალაქ გარეთა ადგილებში თვითეულ ასაწონ ფუთზე.

შენიშვნა: სასწორით სარგებლობას სავალდებულო ხასიათი არ უნდა ჰქონდეს.

2. გადასახადი გადახდევინებულ უნდა იქმნას ტვირთის აწონვის დროს.

3. გადასახადის აკრების წესს და რაოდენობას, პირველ მუხლში აღნიშნულ ფარგლებში, აწესებენ აღმასკომები, ამასთან მათ ეძლევათ უფლება ტვირთები ხარისხებად დაჰყონ და თვითეულ მათგანისთვის ცალკე განაკვეთი დააწესონ.

4. აღებული გადასახადი არა უგვიანეს მეორე დღისა შეტანილ უნდა იქმნას აღმასკომის კასაში:

ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარი თუმანოვი.

ა.-კ. ფინანსთა საზ. კომის. კოლეგიის წევრი ერქომაიშვილი.

წესები

გადასახადის დადებისა ველოსიპედებზე, თვითმოძრავ ეკიპაჟებზე დი მოტორიან ნავებზე.

(ა.-კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის და ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი 1923 წლის აპრილის 2-ს თარიღით,, განყოფილება—2, თავი—3, მუხლი—კ, პუნქტი—9 (ქალაქებში) და პუნქტი—8 (ქალაქ გარეთა ადგილებში).

1. ველოსიპედებზე, თვითმოძრავ ეკიპაჟებზე, პატარა გემებზე და მოტორიან ნავებზე დაწესებული გადასახადი უნდა შეეწეროს როგორც ქალაქებში, ისე სოფელ ადგილებში სასიარულოდ, ხალხის გადასაყვანად, ან ტვირთის გადასაზიდად დანიშნულს ყველა ველოსიპედს, თვითმოძრავს, ეკიპაჟს, პატარა გემებს და მოტორიან, ნავს, რომელიც ეკუთვნის როგორც კერძო პირებს, საზოგადოებებს და წარმოებებს ისე თანამდებობის პირთ და მთავრობის დაწესებულებებს და წარმოებებს, სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფის გამოკლებით.

2. გადასახადის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს: 300,000 მან. ნახევარ წელიწადში ველოსიპედზე და 4.000.000 მან. ნახევარ წელში თვითეულ პატარა გემზე და თვითმოძრავ ეკიპაჟის, ან მოტორიან ნავის თვითეულ ძალაზე, რომელთა დანიშნულებაც არის ხალხის გადაყვანა და 200,000 მანეთს ნახევარ წელში ტვირთის საზიდავ ეკიპაჟის თვითეულ ძალაზე (ა.-კ. ფულის ნიშნებით).

3. გადასახადის რაოდენობას და გადახდის ვადას აწესებენ ადგილობრივი აღმასკომები ადგილობრივ პირობათა მიხედვით და აცხადებენ ყველას გასაგებად არა უგვიანეს ერთის თვისა გადასახადის შეტანის ვადამდე.

4. გადამხდელთა სიების შედგენას ქალაქებში აღმასკომები აწარმოებენ, ხოლო სოფლებში ადგილობრივი სათემო და საუბნო აღმასკომები; ამ სიების შესადგენათ, აგრეთვე შესამოწმებლად საჭიროა სარგებლობა ადგილებში მოგროვილ მასალებით, როგორიც არის მასალები აღმასკომის კომუნალური, სატრანსპორტო-საგზაო და სხვა განყოფილებებისა.

5. გადასახადი შეტანილ უნდა იქმნას ქალაქებში ადგილობრივ აღმასკომთა კასებში, ხოლო სოფლად-სათემო, ან მათ თანასწორ აღმასკომთა კასებში.

6. გადასახადის გადახდაზე გადამხდელთ ეძლევათ სათანადო ქვითარი და ნომრის ნიშანი, რომლის ფასიც აღმასკომს შეუძლიან გადაახდევინოს გადამხდელს.

7. დაწესებულ ვადაზე შეუტანელი გადასახადი ნარჩენად ჩაითვლება და გადახდევინებულ იქნება უდავო წესით ჯარიმის ზედშეკეცვით და გადახდევინების იძულებით ზომების მიღებით თანახმად საფუძველთა, რომელიც დაწესებულია ა.-კ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის და ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, გადასახადისა და ხარკების დებულებით და ამ დებულების განხორციელების ინსტრუქციით.

8. ვადის გაგრძელება, გადასახადის ნაწილობრივად გასტუმრების ნების მიცემა, პატიება და მიღებულ გადასახადის უკან დაბრუნება სწარმოებს თანახმად საფუძველთა, რომელიც დაწესებულია გადასახადებისა და ხარკებისათვის.

9. ცნობების მიუწოდებლობისათვის, ან აშკარა ყალბ ცნობების მიწოდებისათვის, დამნაშავენი პასუხს აგებენ სასამართლოს წინაშე.

ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარი: თუმანოვი.

ა.-კ. ფინანსთა საზ. კომ. კოლეგიის წევრი ერქომაიშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 4 რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება აცხადებს, რომ სამშაბათს 26 ივნისს საღამოს 6 საათზე განახლდება მეცადინეობა რაიონულ პარტიულ სკოლაში,

წინადადება ეძლევა ყველა მსმენელებს გამოცხადდენ მეცადინეობაზე.

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე არუსტანოვი.

განათლების მუშაკთა სახლში.

— ორშაბათს, 25 ივნისს საღამოს 7 საათზე ამ წელიწადში უკანასკნელი სხდომაა ფიზიკო-მათემატიკის ქვე სექციისა.

1. ქარხანაში ექსკურსიის დროს მიღებულ ცნობათა გამოყენება არითმეტიკის გაკვეთილებზე შრომის სკოლებში—მოხსენება სერვანსტიანისა.
2. მოხსენება მდივნისა ქვე-სექციის მოღვაწეობის შესახებ წარსული ხნის განმავლობაში.

— სამშაბათს, 26 ივნისს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია უკანასკნელი სხდომა ბავშვთა თვით მოქმედების ქვე-სექციისა.

1) ბავშვთა თვითმოქმედების საკითხი მოსკოვის სკოლებში—პროცენკო.
2) მდივნის ანგარიში.
3) მომავალი მუშაობის გეგმა.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 საუბნო კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოაღნიშნულ ამხანაგებს ა. წ. 27 ივნისამდე გამოცხადდენ საუბნო კომიტეტში ერთიანი პარტიული ბილეთების მისაღებად: 1) ზაიცევი ნიკოლოზი, 2) რიაბოვსკი რაფაელი, 3) სმოროდსკი მიხეილი, 4) ნეზლინი ლეონიდი, 5) როსსიკო იგნატი, 6) ნიკოლაევი ეფიმი, 7) მურუსიძე ვასილი, 8) გეგეჭკორი ალექსი ალექსანდრეს ძე.

ზემოაღნიშნულ ვადამდე გამოუცხადებელ ამხანაგების პარტიული ბილეთები გადაეცემა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ ხაცკევიჩი.
საალრიცხვო-სასტატისტიკო ნაწილის გამგის მაგიერ ისაკოვი.

— ამხ. ამხ. სოფიო ქორიძეს, გრიგოლ ნაზარიანს და ალექსანდრე სიჩევს წინადადება ეძლევათ ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის აღრიცხვ ქვე განყოფილებაში.

ტფილისის კომიტეტის აღრიცხვ-სტატისტიკურ განყოფილების გამგე: ვულფოვიჩი.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი: ეკატერინე გიორგის ასული ზარდიაშვილისა, ნინო და ალექსი ნატროშვილები, ნატო და გიორგი კაკაბაძეები გარდაგვეცვალა უძვირფასესი პირველის მეუღლე, მეორის ძმა, მესამის ცოლის ძმა და მეოთხეების სიძე

ალექსანდრე ილიას ძე ზარდიაშვილი

რასაც ვაუწყებთ ნათესავებს და ნაცნობებს, გამოსვენება კვირას, 24 ივნისს, დილის 11 საათზე, მიხაილოვის ქუჩა № 98. დაკრძალვა ვერაზე, ნიკოლოზის სასაფლაოზედ.

868 1—1

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის

სახალხო მამულების განყოფილება ამით აცხადებს, რომ

ა. წ. 25 ივნისს

შუადღის 12 საათზე, განყოფილების ბინაზე (ევანგულოვის ქუჩა № 2) კომისარის ნებართვით დანიშნულია ზეპირი

საჯარო ვაჭრობა

ამა წლის

ხილის და ყურძნის მოსავლისა

შემდეგი სახალხო მამულებისა: **სკრის, მერეთის, ბეთანია-აკურისი, სადახლოს** (ხოჯორნი) ქართლი (მუხრანი) და **გიაურ-არხის** (ყურძენი).

განმეორებითი ვაჭრობა მოხდება **2 ივლისს.**

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა შემოიტანონ განყოფილების სახელზე წერილობითი განცხადება საღერბო გადასახადის გადახდით და ბეთ 5 ჩერვონეცი, ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად.

პირობების შეტყობა შეიძლება განყოფილებაში ყოველ დღე გარდა უქმეებისა დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

კრ. 456 3—3

დაიბეჭდა და გამოვიდა

ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპ. ფედერაც საფინანსო-საეკონომიო ბიუროს გამოცემული.

1. საღერბო წესდება

ამიერ-კავკას. სოც. საბ. ფედ. რესპ. (დართული აქვს ინსტრუქციები წესდების მოხმარებისა, მოკლე და დაწვრილებითი აღნუსხვა საბუთის ქაღალდების, აქტებისა და დოკუმენტებისა, რომლებზედაც დაწესებულია საღერბო გადასახადი და აგრეთვე ნუსხა იმ საგნებისა, რომლებიც განთავისუფლებულია ასეთი გადასახადისაგან).

ფასი 1 მანეთი ჩერვონეცით

2. სარეწაო გადასახადი

(დართული აქვს ცხრილი ხარისხებისა და გადასახადის ოდნობისა, ნუსხა საქონლისა, წესები გადასახადის შეწერვისა და აკრეფისა, ინსტრუქციები და საგნების მაჩვენებელი ალფავიტი).

ფასი 1 მანეთი ჩერვონეცით

იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

გამგეობის საწყობი: ამიერ-კავკ. სოც. საბჭ. ფედ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი საფინანსო-საეკონომიო ბიუროს საგამომცემლო განყოფილება.

1—1

ამიერ-კავკასიის სახელმწ. ვაჭრობის სამმართველო

(ლორის-მელიქოვის ქ. № 5)

აცხადებს სახელმწიფო დაწესებულებათა, კოოპერატივების და კერძო პირთა საყურადღებოთ, რომ

იყიდება

იტალიიდან მიღებული მაღალი ხარისხის

გოგირდი

(სამ ფუთიან ტომრებში)

თეთრი თუნუქის და სხვა რკინის საქონელი, მატყლის ქსოვილები ბარიტი, ნახშირმჟავა სოდა, მედიკამენტები, დამუშავებული სპარსული ტყავეულობა და სხვა.

ცნობების მიღება შეიძლება სავაჭრო განყოფილებაში ოთახი № 17.

კრ. 475—2—1

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა

სამმართველო

აცნობებს

ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, კოოპერატიულ ორგანიზაციებს, კერძო პირებს და ცალ-ცალკე ბაღების მეპატრონეთ, რომელნიც დაინტერესებული არიან ხილისა და ბოსტნეულის გახმობაში, რომ მიმდინარე სეზონში ამიერ-კავკასიის ფარგლებში განზრახულია მოეწყოს

ხილისა და ბოსტნეულის გამხმობი

მატარებელის, ექსპლოატაცია რომელსაც ყოველგვარი საქარხნო მოწყობილება ექნება ნედლი მასალის მექანიკურად გადამუშავებისათვის (ალუბალი, ქერამი, უნაბი, ატამი, ვაშლი, კარტოფილი, სტაფილო და სხვა ხილი და ბოსტნეული) გამხმარ პროდუქტებში.

1) ნედლი მასალა შეიძლება ჩაბარებულ იქნეს გადამუშავების ღირებულების გადახდით, მაგრამ არა უმეტეს ერთი მანეთისა თვითეულ ფუთ გამხმარ პროდუქტზე; იმ ხილისა და ბოსტნეულისათვის, რომელთა გასავალის პროცენტი დიდია, გადამუშავების ფასი შეიძლება თანაბრად შემცირებულ იქნეს.

2) გადამუშავების ფასი შეიძლება გადახდილ იქნეს თანაბარი ღირებულების ნედლი მასალით ან ნაწილობრივ ფულით და ნედლი მასალით.

3) შემკვეთელებს მთელი რიგი შეღავათებისა ეძლევათ ტრანსპორტიროვკისა, შენახვისა, რეალიზაციისა და ფრახტის გადახდაში, აგრეთვე ეძლევათ სესხი გადამუშავებულ პროდუქტის გირაოს ქვეშ.

4) ტარის შეძენის სიიაფისათვის, რომელიც დამზადებულ პროდუქტის ჩასაწყობად არის საჭირო, ხილისა და ბოსტნეულის გამხმობი მატარებელი ყუთების დასამზადებლად ღებულობს შეკვეთებს კლიენტებისათვის ხელსაყრელ პირობებში. მატარებელი იღებს შეკვეთებს აგრეთვე მორისა და ფიცრების დასახერხავად, ხმელ ხელსაწყოების რემონტისათვის და ხორბლეულ პროდუქტების დასაფქველად; ყველა ეს სამუშაოები შესრულებული იქნება მატარებელის დამხმარე მოწყობილობის საშუალებით; ყველა იმათ, ვისაც სურს მატარებელით სარგებლობა, წინადადება ეძლევათ თავის დროზე შეიტანონ განცხადება, რადგან შეკვეთების შესრულება ხდება რიგის წესით და იმ რაიონების შეთანხმებით, სადაც მატარებელმა უნდა იმუშაოს.

ცნობებისათვის უნდა მიმართონ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს ეკონომიურ სამსახურს (სადგურის ქ. № 1, მე-2 სართული, ოთახი № 57).

(კრ. 473—5—1)

ქ. ტფილისის 1 რაიონის სახალხო მოსამართლე

იწვევს სასამართლოში დიმიტრი ვასილის ძე მიხაილოვსკის, როგორც მოპასუხეს ალექსანდრე მიხეილის ასული მიხაილოვსკისთან განქორწინების შესახებ და აფრთხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნებისა არ გამოცხადდება დანიშნულ იქნება საქმე და გამოტანილი დაუსწრებელი დადგენილება.

1-ლი რაიონის სახალხო სასამართლო იმყოფება სასამართლოს ქუჩაზე № 32

866 1—1

ქ. ტფილისის 2 რაიონის სახალხო მოსამართლე

იწვევს სახალხო სასამართლოში ანასტასია სტეფანეს ასულ კახიძეს, როგორც მოპასუხე მის ქმართან ვალერიან მალაქიას ძე მუსელიანთან განცხადებულ საჩივარზე მათი განქორწინების შესახებ და აფრთხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან მისი გამოქვეყნების არ გამოცხადდება დანიშნული იქნება საქმე და გამოტანილი დაუსწრებელი დადგენილება.

865 1—1 სახალხო მოსამართლე ნ. კორინთელი.

სახლი

თავისუფალი ბინებით საჩქაროდ და იაფად იყიდება, ვისაც სურს იყიდოს და გაყიდოს უნდა მიმართოს მამა დავითის ქუჩაზე № 3, ბინა 2. დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გაყიდვა განახლდა

(860—1—1)

დაიკარგა პასპორტი მარკოზ სარკისიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 863 1—1

დაიკარგა რ. კ. პ. პარტიული ბილეთი № 496738. ანდრო ანთაძის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. (873—1 | 1)

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა გიორგი ვაშაკიძის სახელობისა, ჩაითვალოს გაუქმებულათ. (817—1—1)

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა გაცემული ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიისაგან პავლე შამ—ძე მელიქ-პაშაევის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. (872—1—1)

დაიკარგა ვინაობის წიგნაკი აიკ ხაჩატუროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (871—1—1)

დაიკარგა ხელწერილი 15,000 მანეთზე, რომელიც გაცემულია საზ. „კახეთია“-ს მიერ ნაზაროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (870—1—1)

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო აცხადებს,

რომ 25 ივნისიდან მიმოსვლა საფოსტო მატარებლების №№ 3 და 4, რომლებიც დანიშნული არიან ტფილისსა და ბათომს შორის, იცვლება ამგვარად:

მატარ. № 4 გადის ტფილისიდან დღის 12 საათზე 00 წ. ბათომში იქნება დილის 5 საათზე და 40 წ.
მატარ. № 3 გამოდის ბათომიდან სალ. 10 საათზე 30 წ. ტფილისში მოდის სალამ. 6 საათ. და 16 წ.

მატარებლები №№ 56 და 57, რომლებიც დადიოდენ კვირაში ორჯერ ბაკურიანის შტოზე, 25 ივნისიდან ივლიან ყოველდღე ბორჯომ-ბაკურიანს შორის. მატარებელი № 57 ბორჯომიდან გამოვა საღამოს 11 საათზე და 40 წუთზე, მატარებელი № 56 ბორჯომში მივა საღამოს 10 საათზე და 25 წუთზე. მატარებლები №№ 56 და 57 ეთანხმებიან №№ 19 და 20 მატარებლების მიმოსვლას ტფილის-ბორჯომს შორის. (471 1—1)

[illegible] „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4